# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი 22 მარტი 1996 № 22 (247) ფასი 40 თეთრი

## გუშინ ბუდაპეშტში

FILA

ბუდაპეშტი ათი წლის შემდეგ მასპინძლობს ევროპის ჩემპიონატს. იმის თქმა, რომ აქაურებს ჭიდაობა მოენატრათო, ალბათ გადაჭარბებულია. არც ქალაქში იგრძნობა განსაკუთრებული აჟიოტაჟი და ჯერჯერობით, 12-ათასიანი დარბაზი მეათედით თუა სავსე.

საქართველოს ნაკრები, ისევე როგორც მონაწილეთა უმრავლესობა, დარბაზიდან 200 მეტრით დაშორებით სასტუმრო „სტადიონში" დაბინავდა. ჩვენი მოჭიდავეები, თითქმის ყველა ჯანმრთელადაა. მხოლოდ ჯემალ კილაძემ (74) იტკინა ფეხი და მისი გამოსვლა საეჭვოა.

განრიგის მიხედვით, 21-22 მარტის 48, 57, 68, 82 და 100 კგ წონის მოჭიდავე ასპარეზობენ. გუშინ ჩვენმა ოთხმა ფალავანმა იჭიდავა. მოგახსენებთ მხოლოდ შუადღემდე დასრულებული შეხვედრების შესახებ, რადგან სალამოს პროგრამა მაშინ მთავრდება, როცა თბილისში ყველა გაზეთი უკვე დაბეჭდილია.

57 კგ. გიორგი გაგიშვილი პირველ წრეში ავსტრიელ ვოლფგან მუტენტალერს შეხვდა. გორელმა თავიდანვე შეუტია და მეტოქე ისეთ დღეში ჩააგდო, ორჯერ საექიმო დახმარება მოათხოვინა. დამთავრებამდე 12 წამით ადრე შეხვედრა შეწყდა, რადგან გაგიშვილი 16:4 იგებდა. მეორე წრის შეხვედრა გაგიშვილმა გუშინ ღამით გამართა.

68 კგ. ემზარ ბედინეიშვილს ხელი მოეცარა. გაგერმანელებულმა თურქმა ბეჰჩეთ სელიმოღლუმ ჩოქბჯენიდან ორჯერ დაატრიალა ჩვენებური და დაწინაურდა. ემზარმა მალე გამოასწორა მდგომარეობა, მაგრამ მერე თავისსავე ილეთზე მოჰყვა და 3:10 წააგო.

მეორე წრეში ბედინეიშვილის ბრიტანელი მეტოქე სტივ მაკკიოუნი არ გამოცხადდა და გამარჯვება ქართველს მიეკუთვნა.

82 კგ. ავთო გოგოლიშვილს თავდაპირველად თურქ შაბაჰან ოზთურქთან, მსოფლიოს 1993 და ევროპის 1995 წლის ჩემპიონთან უნდა ეჭიდავა. მერე წილისყრა შეიცვალა. საქმე ისაა, რომ რუსეთის მეორე ნომერმა, ექს-ჩვენებურმა გარი მოღოსიანმა რეგისტრაცია მაკედონიის სახელით გაიარა. ხალიჩაზე გასვლის წინ რუსეთის გუნდმა (რომელსაც აქამდე წარმოადგენდა მოღოსიანი) საჩივარი შეიტანა და გარი შეჯიბრებიდან მოხსნეს. ხელახალი კენჭისყრით გოგოლიშვილს იტალიელი რენატო ლომბარდო შეხვდა. ავთომ აკადემიურად იჭიდავა და ზედმეტი მოძრაობების გარეშე 4:0 მოიგო.

მეორე წრეში გოგოლიშვილი აზერბაიჯანელ მაჰამედ იბრაჰიმოვს შეხვდა. მე-3 წუთზე ქართველმა ერთქულიანი გდება შეასრულა და უპირატესობას დამთავრებამდე 2 წამით ადრე ინარჩუნებდა. ამ დროს იბრაჰიმოვმა ჩოქბჯენში ჩაიყვანა ავთო და დამატებითი დროც დაინიშნა. იქ გოგოლიშვილმა კონტრილეთი ვერ მოასწრო აზერბაიჯანელის ფანდის წინააღმდეგ და 1:4 წააგო.

100 კგ. ზაზა ტყეშელაშვილს 1994 წლის ევროპის ჩემპიონი პოლონელი მარეკ გარმულევიჩი ეჭიდავა. მეორე წუთზე პოლონელმა ფეხის ჯვარედინი ჩავლებით ოთხჯერ დაატრიალა ზაზა და 5:0 დაწინაურდა. ტყეშელაშვილმა ერთხანს შეამცირა სხვაობა, მაგრამ მაინც 2:8 დამარცხდა.

პირველი დღის შთაბეჭდილებით, თავი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე გგონება. ექს-საბჭოელებს ევროპის თითქმის ნებისმიერ ნაკრებში იხილავთ. ისინი ახლა თავიანთი ახალი სამშობლოების სახელით უტევენ საჭიდაო სიმაღლეებს.

**მერაბ რატიშვილი**

ბუდაპეშტიდან

## იაგორაშვილი ოლიმპიელია

მეხიკოში 30 ქვეყნის 54 ხუთჭიდელი იბრძოდა ატლანტის ოლიმპიადის 7 საგზურისათვის. მშვენივრად იასპარეზა ჩვენმა ვახტანგ იაგორაშვილმა. მან 5 269 ქულა მოაგროვა, 101 ქულით ჩამორჩა გამარჯვებულ მექსიკელ დე ლა ვეგას და მეოთხე ადგილი დაიკავა. ამ წარმატებით იაგორაშვილმა ატლანტის ოლიმპიადის საგზური გაინაღდა.

## ჩიბურდანიძე პირველია

ბელგრადში დამთავრდა ქალთა ძალზე ძლიერი შემადგენლობის საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში, სადაც სამი ქართველი დიდოსტატი — მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი და ნონა გაფრინდაშვილი მონაწილეობდნენ. შესანიშნავად ითამაშა მაია ჩიბურდანიძემ. მან 11 მეტოქესთან ბრძოლაში 9 ქულა მოაგროვა, პირველი ადგილი მოიპოვა და ქულით გაუსწრო შვედ პია კრამლინგს. იოსელიანმა 7 ქულით მეოთხე-მეხუთე ადგილები გაიყო. ნონა გაფრინდაშვილი კი 4 ქულით მე-9-ე იყო.



## გუშინწინ ყაველას ინგლისში თამაშის ნება დართეს

ქინქლაძის ზღაპრულმა გოლმა „საუთჰემპტონის" კარში არც ბრიტანეთის განათლებისა და დასაქმების დეპარტამენტის მოხელეები დატოვა გულგრილი და ამათაც ოთხშაბათს კიდევ ერთ ქართველს, მიხეილ ყაველაშვილს გაერთიანებულ სამეფოში მუშაობის უფლება მისცეს, სწორედ ის უფლება, შვეიცარიელ ჰოტიგერსა და რუმინელ პეტრესკუს რომ გაუჯანჯლეს. ასე რომ, მომავალ კვირას „ბოლტონთან" „მანჩესტერ სიტი" უკვე ორი ქართველით შეუტევს. ფრენსის ლისა და ოსთა „ალანიას" ხელმძღვანელებს შორის გარიგება მილიონ ოთხასი ათასი გირვანქით, ანუ 2 მილიონ 150 ათას დოლარადაა შეფასებული.

გაიგე, ჩვენი გიოს ფანტასტიური გოლის ნახვა ვერ მოგიხერხებიათ. შეუძლებელია ამ გოლის სიტყვიერად გადმოცემა. „ინგლისში ასეთი გოლი ბოლოს სტენლი მეტიუზმა გაუტანა „ვესტ ჰემსი" — წერდა „თაიმზი", რომელმაც სამშაბათს მორიგი უშველებელი სტატია მიუძღვნა ქართველ ფეხბურთელს. ამავე გაზეთმა კვირას გიოს გოლს „ქინქის ჰიპნოზური სოლო წარმოდგენა" უწოდა. არც სხვა გაზეთებს მოუთოკიათ ემოციები. „დეილი ტელეგრაფი" — „ქინქლაძემ დაგვანახა, რომ კონტინენტიდან ფეხბურთელების აქ ჩამოსვლა აუცილებელია"; „სანდი ტელეგრაფი" — „ქინქიმ „სიტის" თავზე შეგროვილი ღრუბლები საბოლოოდ გაფანტა"; „სანი" — „ბოლო ოცი წლის მანძილზე „მეინ როუდზე" ასეთი ღრიალი არავის გაუგია". ამავე „სანმა" გიოს ვეებერთელა სურათი გამოჭიმა, წარწერა კი ასეთი გაუკეთა: GEORGI BEST ანუ გიორგი საუკეთესო (თან ბესტთან შედარებაცაა, ჩრდილოირლანდიელ ამ ფეხბურთელს ხომ დღემდე ბრიტანეთის საუკეთესო მოთამაშედ მიიჩნევენ).

ფრენსის ლიმ „ტელეგრაფში" გიოს შეძენის ამბავი გაიხსენა: „მახსოვს, საქართველოსა და უელსის მატჩის ვიდეოჩანაწერი ვნახე, ოღონდ უელსურად თუ ქართულად, აღარ მახსოვს, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? სიხარულისგან ჩემს ოფისში ვხტოდი და ხელებს ვიფშვნეტდი — ამ კაცს აუცილებლად შევიძენ-მეთქი. მე და ბოლი დიდი სიმდიდრის მფლობელები ვართ: მალე მივხვდით, რომ ასეთი სარფიანი გარიგება არასდროს გამიხერხებია."

ლი იმასაც აღნიშნავს, რომ ასეთი პოპულარობის მიუხედავად ქინქლაძე მეტად თავმდაბალ და გამრჯე ადამიანად რჩება. „ის ჩემს მეზობლად ცხოვრობს. იმ დღეს მეწვია და „ნიუკასლთან" ჩვენი თამაშის ჩანაწერი ვნახეთ. გახსოვთ, ზღაპრულად ითამაშა, ის კი იჯდა და წამდაუწუმ იძახდა — აქ სხვანაირად უნდა მოვქცეულვიყავი, აქ პასი დამიგვიანდა, აქ კარში უნდა დამერტყაო."

ბრწყინვალე გოლის მოლოცვა არც მე დამვიწყებია. „მართლაც, კარიერაში საუკეთესო გოლი გავიტანე, თან, ვგონებ, ყველაზე გადამწყვეტიც, რადგან „საუთჰემპტონთან" მოგება ჰაერივით გვჭირდებოდა" — მითხრა ტელეფონით გიომ, ვისაც ხვალ შევხვდები „ეპტონ პარკზე", სადაც „სიტი" „ვესტ ჰემს" ხვდება და სადაც ქართველთა ბრწყინვალე თამაში 1981 წლის 4 მარტს მასპინძელთა განადგურებით დამთავრდა. „ახალი „სარბიელების" წამოღება არ დაგავიწყდესო" — გამაფრთხილა გიომ.

**დავით მჭედლიშვილი**

ლონდონიდან

## დღეს კარგი თამაშია!

ფოთის „კოლხეთი" ის გუნდია, შვიდი ჩემპიონატის მანძილზე „დინამოსთან" საუკეთესო შედეგს რომ მიაღწია: თორმეტი მატჩიდან „კოლხეთმა" სამი მოიგო, აქედან ორი — თბილისში, ხოლო ფოთელთა მესამე მოგება ჯერჯერობით ყველაზე სამარცხვინო შედეგია „დინამოს" ისტორიაში — 1:5! ხუთი გოლი „დინამოსთვის" ჯერ არავის გაუტანია, არც თხუთმეტი გოლი გაუტანია ვინმეს „დინამოს" კარში ამ შვიდი ჩემპიონატის მანძილზე. ის კი არა, ეს გუნდები თასზეც ყველაზე ხშირად შეხვედრიან ერთმანეთს. აქ დინამოელებს აშკარა უპირატესობა აქვთ — ექვსიდან ხუთი მოგება. ერთადერთ სათასო მოგებას ფოთელებმა შინ მიაღწიეს და მაშინაც ხუთი გოლი გაუტანეს „დინამოს" — 5:4.

მოკლედ, დღეს ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მატჩი გველის...

ფოთელები ამ თამაშს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ, ამიტომაც თბილისს გუშინ, სალამოს შვიდ საათზე ეწვივნენ. „კოლხეთის" მეორე მწვრთნელმა იური გვაზავამ გვითხრა:

— „თბილისში წასაგებად არ ჩამოვსულვართ, ვეცდებით ქულა მაინც წავიღოთ. ეს ჩვენი სურვილია და ცდა კი ბედის მონახევრეა. ერთადერთი პრობლემა თავდასხმის ხაზში გაგვიჩნდა. ამ მატჩში ვერ ითამაშებს გელა გაბისონია, რაც „კოლხეთისთვის" დიდი დანაკლისია."

თამაში სამ საათზე დაიწყება.

## ჩემპიონთა ლიგას ოთხი შემორჩა

### აიაქსი 1:0 დორტმუნდი

— ჩვენ, მართალია, კარგად ვერ ვითამაშეთ, მაგრამ მეტოქისა საერთოდ ვერაფერი გავიგე. ისე ირჯებოდნენ, გეგონება პირველი თამაშის მერე წინ ისინი ყოფილიყვნენ. ახლა იმედი მაქვს, რომ „პანათინაიკოსთან" მატჩს მომზადებულები შევხვდებით და ფინალში გავალთ — თქვა დორტმუნდელთა ძლევის შემდეგ აიაქსელმა რონალდ დე ბურმა.

ორი კვირის წინ გერმანიაშიც ამსტერდამელებმა გაიმარჯვეს — 2:0. საპასუხო მატჩში კი „აიაქსის" სკოლის აღზრდილის, 18 წლის კიკი მუსამპას მიერ მე-16 წუთზე გატანილმა გოლმა ამ მეოთხედფინალური წყვილის ურთიერთობებს საბოლოო წერტილი დაუსვა. მუსამპამ ნიგერიელი ნვანკვო კანუს პასით გაიტანა. ამსტერდამის გუნდს აკლდნენ კლუივერტი, ჰოეკსტრა, ბლინდი, ოვერმარსი, რაიციგერი, ფინიდი, მარსიო სანტუში და როიზერი. სანაცვლოდ კვლავ ათამაშდა მრისხანე ლიტმანენი. „დორტმუნდში" არ იყვნენ მათიას ზამერი და შტეფან როიტერი, რომელთაც დისკვალიფიკაციამ უწია, ენდი მოლერი კი ხრტილის ოპერაციის გამო სათადარიგოთა სკამზე იჯდა და მოედანზე მხოლოდ მეორე ტაიმის შუაში გავიდა.

„აიაქსმა" ჩემპიონთა თასზე წაუგებელ შეხვედრათა რიცხვი 19-მდე გაზარდა.

### იუვენტუსი 2:0 რეალი

— ღირსეული, მაგრამ უძნელესი გამარჯვება მოვიპოვეთ — თქვა „იუვენტუსის" მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ — ნურვინ იფიქრებს, რომ უკვე ფინალში ვართ. „ნანტის" მოგება მეტად გაძნელდება.

— მეტოქე დიდებულად დავასაჩუქრეთ. ძლიერ გვაკლდა სამორანო — ეს „რეალის" მწვრთნელის იგლესიასის სიტყვებია.

თავგადაკლული ბრძოლის შემდეგ ტურინელებმა პირველ შეხვედრაში განცდილი მარცხი გადაძლიეს და ისტორიაში მეექვსედ გავიდნენ ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში. მე-14 წუთზე საჯარიმოების დიდოსტატმა ალესანდრო დელ პიერომ უზადო დარტყმით გახსნა ანგარიში, 53-ზე კი პორინის პასით სამი იუვენტუსელი გავიდა ხელსაყრელ პოზიციაში. ზუსტი საბოლოო დარტყმა პადოვანომ შეასრულა.

### პანათანაიკოსი 3:0 ლეგია

— ახლა, ნახევარფინალში მსოფლიოს საუკეთესო გუნდთან მოგვიწევს შეხვედრა. ჩვენთვის უძლიერესთა ოთხეულში ყოფნა დიდი პატივია — განაცხადა ბერძნული გუნდის არგენტინელმა მწვრთნელმა რამონ როხამ.

პოლონელთა კარში (პირველი შეხვედრა 0:0) ორი გოლი ბერძენთა პოლონელმა ვარჟიხამ გაიტანა, ერთიც არგენტინელმა ბორელიმ. მატჩის შემდეგ ათენის ქუჩებში 75 ათასმა ქომაგმა დიდი ზეიმი გამართა შამპანურითა და ფეიერვერკებით.

### სპარტაკი 2:2 ნანტი

— უედეკი რუსული გუნდების რისხვაა. ჩვენ ეს ვიცოდით, მაგრამ მის წინააღმდეგ ვერაფერი გავაწყეთ. ჩემი ბრალია. შესვენებისას ნიკიფოროვი უკან დავწიე, რაც არ უნდა მექნა. რაც შეეხება არდანიშნულ პენალტს, კეჩინოვის პირველმა წაქცევამ გუნდზე ძლიერ იმოქმედა. თავად კეჩინოვს გული გაუტყდა. ეს შეხვედრის მთავარი მომენტი იყო — ბრძანა „სპარტაკის" მწვრთნელმა გიორგი იარცევმა.

ნიკიფოროვმა პირველ ტაიმში მართლაც ბრწყინვალედ ითამაშა: ორი საუცხოო გოლი გაიტანა, მაგრამ რუსეთის ექს-ჩემპიონის სიხარული 45 წუთიანი გამოდგა. მეორე ნახევარში რუსი მეკარეების დამწიოკებელმა უედეკმა ორი შეაგდო და „ნანტი" ნახევარფინალში გაიყვანა.



# გოლების თავსხმა თოვლსა და ქარბუქში

## საქართველოს ჩემპიონატი

### XVII ტურის მიმოხილვა

### მარგვეთი 5:1 ეგრისი

მარგვეთი: გვენცაძე, ლანჩავა, გურიელიძე, გაბრიჭიძე, მაღლაკელიძე, უკლება (ფოცხვერაშვილი 70), კაკუბავა, გენაძე (ბებიაშვილი 62), ნიკლაური (ჩხეტია 46), ქებაძე, ენდელაძე

ეგრისი: გულია, ჯღარკავა, ნაჭყებია, ბენდელიანი, ახალაია, ნოდია, ფიფია (გოგუა 46), წულაია, თორია, ა. მიქავა (მიქაძე 46), გ. მიქავა

1:0, 2:0, 3:0 ენდელაძე (9, 15, 55) 4:0 კაკუბავა (57) 5:0 ენდელაძე (67) 5:1 თორია (70)

გაფრთხილება: ა. მიქავა

მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

„მარგვეთმა" წინა ტურში დაშვებული შეცდომა გაითვალისწინა და „ეგრისს" პირველი წუთებიდანვე შეუტია. სტუმრებმა მასპინძელთა ბომბარდირს ზვიად ენდელაძეს ვერაფერი მოუხერხეს და ამან ოთხი გოლი გაიტანა. ამას კაკუბავას ერთი გოლიც დაემატა. ზესტაფონელები 5:0 მოიგებდნენ, სენაკელებს რომ არ შერცხვენოდათ და არ გააქტიურებულიყვნენ: თორიამ შეძლო პრესტიჟის გოლი გატანა.

### კოლხეთი 1:0 სიონი

კოლხეთი: გოგუა, მიქაბერიძე, კაკაჩია, ხუჯაძე, არზიანი, ქუნთელია (ლალანიძე 46), კიკლიაშვილი, ტორჩინავა, გიორგაძე, ამბიძე, ბულუხია

სიონი: დალაქიშვილი, მეტრეველი, შაკიაშვილი, ყიფშიძე, მეფარიშვილი, გაბრიჭიძე, გოგოლაძე, ტოროშელიძე, მოსეშვილი, სამხარაძე, ანდღულაძე

1:0 მიქაბერიძე (47)

მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

ჯერჯერობით მესამე ადგილზე მყოფი „კოლხეთი" შინ თამაშებს ძნელად იგებს. კოლხებს ამჯერადაც გაუჭირდათ აუტსაიდერ „სიონთან" გამარჯვება. ერთადერთი გოლი მიქაბერიძემ გაიტანა. ფოთელებს გულარხეინობის უფლება არა აქვთ, რადგანაც ერთდროულად ოთხი გუნდი: „მარგვეთი", „მეტალურგი", „ბათუმი" და „ტორპედო" მიჰყვებათ კვალში.

### ტორპედო 3:1 კახეთი

ტორპედო: ხელაძე, შეყრილაძე, ჩხაბერიძე, თურმანიძე, სალილიანი, გიორგობიანი, ჯინჭარაძე, ჩხეტიანი, მეგრელაძე (ნოზაძე 70), აშვეთია (შენგელია 80), ვაჩიბერაძე

კახეთი: ხაჩირაშვილი, შონია, ათუაშვილი, ნიკლაური, ნაკუდაიძე, შალამბერიძე, ლობჟანიძე, ჯაშიაშვილი (გოგიაშვილი 86), სოლოლაშვილი, ბაბულაიძე (მამისაშვილი 75), კახოიძე (ღვინიაშვილი 57)

1:0 ვაჩიბერაძე (6) 1:1 ნაკუდაიძე (20) 2:1 აშვეთია (74) 3:1 აშვეთია (77)

მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

ქუთაისში ამ დღეს ისეთი ქარი ქროდა, ფეხბურთი ვილას ახსოვდა: მომძლავრებულმა სტიქიამ სახლებს სახურავები გადახადა და ასაკოვანი ხეებიც წამოაქცია.

ტორპედოელი ვაჩიბერაძის სწრაფ გოლს თელაველმა ნაკუდაიძემ ასევე სწრაფად უპასუხა. თამაში ძალიან ჭირდა, რადგან ბურთს ქარი აქეთ-იქით ფოთოლივით აფარფატებდა და ფეხბურთელებს თამაშის საშუალებას არ აძლევდა. მოთამაშეებს სტანდარტული სიტუაციიდან ბურთი რომ გაეთამაშებინათ, ამისთვის ბურთის ფეხით გაჩერება უწევდათ და მხოლოდ ამის შემდეგ შეჰყავდათ თამაშში. 74-ე წუთამდე „კახეთი" მასპინძლებს მედგარ წინააღმდეგობას უწევდა. მერე კი აშვეთიამ აიშვა და სამ წუთში სტუმრებს ორჯერ დაწყვიტა გული. ქუთაისელთა ბომბარდირის მიერ გატანილი ორივე გოლი მაღალი ოსტატობით იყო შესრულებული. ამ ბიჭის ყისმათზე ბევრჯერ დაწერილა და დაიწერება კიდეც. იმ დღეს მან თავიც დაიმშვიდა, აღელვებული გულშემატკივრებიც და საკუთარ გუნდს სამი ქულა ჩააწერინა.

### ბათუმი 11:0 დურუჯი

ბათუმი: ტოგონიძე, შანიძე, ლლონტი (ი. მახარაძე 46), მუჯირი, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, ტულუში, დ. მახარაძე, მინდაძე (ფუტკარაძე 46)

დურუჯი: პაქსაშვილი (გ. სომხიშვილი 46), ვარადაშვილი, ბოჭორიშვილი, ცინცაძე (ნიწრიაშვილი 64), მოსიაშვილი, ყანჩაველი, კობიაშვილი, ოსეფაშვილი, ქარენაშვილი, ყიზილაშვილი, დარჩიაშვილი

1:0 მუჯირი (5) 2:0 ტულუში (21) 3:0 მინდაძე (28) 4:0 მაჭუტაძე (33) 5:0 ლლონტი (35) 6:0 ტულუში (50) 7:0 ტულუში (63) 8:0 ფუტკარაძე (74) 9:0 მაჭუტაძე (74) 10:0 მაჭუტაძე (80) 11:0 დ. მახარაძე (90)

მსაჯი: ი. შალამბერიძე (თბილისი)

ბათუმში სტადიონზე მოსულ გულშემატკივრებს მოსაწყენად არ ეცალათ. თამაში უხვგოლიანობით გამოირჩეოდა. ბათუმელთა 11 გოლს „დურუჯმა" ვერაფრით უპასუხა. სტუმრებს მაინცა და მაინც თავი არ მოუკლავთ და არც გაემტყუნებათ: ყვარლელებს ახლა ველარავინ უშველის, პირველი ჯგუფიდან გავარდნა მათ უკვე „გარანტირებული" აქვთ. აღსანიშნავია ისიც, რომ ერთადერთი ქულა პირველ წრეში „დურუჯმა" სწორედ „ბათუმთან" გააზერხა.

### ზუგდიდი 2:0 გურია

მასპინძლებმა გაიმარჯვეს და მდგომარეობაც გაიუმჯობესეს. სტუმრები კი, მართალია ისევ ბოლოსწინა ადგილზე არიან, სატურნირო ცხრილში საქმე მთლად კარგად ვერც მათზე წინ მყოფთ აქვთ. თქმა არ უნდა — პირველ ჯგუფში დარჩენისათვის მძაფრი ბრძოლაა მოსალოდნელი.

### დილა 1:1 შევარდენი

დილა: სოლოლაშვილი, ბალაშვილი, ლომიძე, გაგნიძე, თარხნიშვილი, წკრიალაშვილი, მარეხაშვილი, ციცქიშვილი, მარლიშვილი, ხორგუაშვილი, რევაზიშვილი

შევარდენი: აბუსერიძე, ალადაშვილი, მელქაძე, კვიტატიანი, გოგოლაძე, მოსულიშვილი (ქოიავა 46), კანკავა, ჯიქია, გოდერძიშვილი, დათვაძე, მინდიაშვილი

0:1 ჯიქია (65) 1:1 გაგნიძე (74)

გაფრთხილება: გოგოლაძე

მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

უამინდობის მიუხედავად გორში „დილამ" მოწინააღმდეგეს მატჩის პირველივე ნახევარშივე სიცივის შეგრძნების საშუალება არ მისცა და საკმაოდაც „შეახურა". საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეს ორჯერ მარეხაშვილმა, ხოლო შემდეგ ხორგუაშვილმა. მასპინძლებმა მეორე ნახევარიც იერიშებით დაიწყეს, მაგრამ მალე სურათი ერთბაშად შეიცვალა და „შევარდენმა" მძაფრად შეუტია. სტუმართა გამოცოცხლებას შეცვლაზე შემოსული ქოიავას აქტიურმა თამაშმაც შეუწყო ხელი. სულ ცოტა სამი საგოლე მომენტი ზედიზედ ვერ გამოიყენეს შევარდენელებმა. მალე კი ჯიქიამ ანგარიშიც გახსნა. ამ გოლს ისევ გორელთა შტურმი მოჰყვა და მასპინძლებმა იხეირეს კიდეც: მარლიშვილის მოცელვისათვის დანიშნული პენალტი გაგნიძემ გამოიყენა და ანგარიში გაათანაბრა. „დილას" კიდევ შეეძლო სტუმართა კარის აღება, მაგრამ გამოცდილ მამუკა აბუსერიძეს ვერაფერი მოუხერხა და საბოლოოდ ფრეს დასჯერდა.

### სამტრედია 0:0 დინამო

ტურის ცენტრალური მატჩი სამტრედიაში გაიმართა, სადაც ლიდერები — „სამტრედია" და „დინამო" ერკინებოდნენ ერთმანეთს. ჩვენ ამ შეხვედრის ვრცლად გაშუქებას წინა ნომერში ვპირებდით, თუმცა სამტრედიასთან სატელეფონო კავშირის დაბალი ხარისხის გამო ამის საშუალება არ მოგვეცა.

წინასწარ უნდა ითქვას, რომ ძლიერი ქარის გამო გუნდებმა კარგი თამაში ვერ აჩვენეს მაყურებელს. მეტად სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ „სამტრედია", მავანთა მოლოდინის საწინააღმდეგოდ, სულაც არ დასუსტებულა, მეტიც, თითქმის მთელ მატჩის განმავლობაში ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდა. ჩანდა, რომ სტუმრებმა დაცვითი ტაქტიკა შეგნებულად აირჩიეს. თამაში დაძაბულად, ხისტ ორთაბრძოლაში მიმდინარეობდა. ფეხბურთელები მონდომებით ირჯებოდნენ, ბევრს მოძრაობდნენ, თუმცა კი საგოლე მომენტებამდე საქმე არ მისულა, თუ არ ჩავთვლით პირველ ტაიმში ყიზილაშვილის მიერ შექმნილ მომენტს. მცველთა უყურადღებობით თბილისელთა თავდამსხმელმა ვერ ისარგებლა და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა მაღალი ბურთი ვერ დაამუშავა, რაშიც ქარმაც შეუშალა ხელი. სტადიონზე შეკრებილი მრავალრიცხოვანი მაყურებელი ფეხბურთელთა ყოველ იერიშზე გამოხატავდა ემოციას. ამ რთულ შეხვედრის მსაჯობა ოთარ გუნთაძეს მოუწია. მისგან სამტრედიელები დინამოელთა საჯარიმოში დათო ხუჭუას წაქცევისთვის თერთმეტმეტრიანს ითხოვდნენ, თუმცა მსგავსი პრეტენზია ანჩაბაძის მოცელვისათვის დინამოელებსაც შეიძლებოდა ჰქონოდათ. შეხვედრა არც კარში შორეულ დარტყმების სიმრავლით გამოირჩეოდა. მატჩის მიწურულს ყიზილაშვილი მშვენიერი ცრუ მოძრაობით გასცდა სამტრედიელ მცველებს, მაგრამ მის გადაცემას დინამოელთაგან ვერავინ მიუსწრო. საბოლოოდ შეხვედრა ფრედ დასრულდა, რაც სავსებით ლოგიკური გახლდათ. ეს, ალბათ, უფრო თბილისელებს აწყობდათ.

**მე-17 ტური წინაზე უხვგოლიანი გამოდგა, სულ 29 გოლი იქნა გატანილი. აქედან 25-ჯერ მასპინძლებმა იმარჯვეს, 4-ჯერ — სტუმრებმა. საერთოდ, მასპინძელმა გუნდებმა ტური უკეთ ჩაატარეს — ექვსი მოგება, ორი ფრე და არცერთი წაგება.**

მამუკა კვანტალიანი
მერაბ მამულაშვილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 17 | 12 | 4 | 1 | 50-9 | 40 |
| სამტრედია | 17 | 12 | 4 | 1 | 57-20 | 40 |
| კოლხეთი | 17 | 12 | 2 | 3 | 42-23 | 38 |
| მარგვეთი | 17 | 12 | 1 | 4 | 50-17 | 37 |
| მეტალურგი | 17 | 12 | 0 | 5 | 37-20 | 36 |
| ბათუმი | 17 | 10 | 4 | 3 | 43-15 | 34 |
| ტორპედო | 17 | 10 | 4 | 3 | 41-23 | 34 |
| დილა | 17 | 8 | 4 | 5 | 29-26 | 28 |
| შევარდენი | 17 | 6 | 2 | 9 | 25-32 | 20 |
| კახეთი | 17 | 5 | 3 | 9 | 17-35 | 18 |
| ზუგდიდი | 17 | 5 | 1 | 11 | 27-44 | 16 |
| ეგრისი | 17 | 4 | 2 | 11 | 28-42 | 14 |
| ივერია | 17 | 4 | 2 | 11 | 16-33 | 14 |
| სიონი | 17 | 4 | 0 | 13 | 15-35 | 12 |
| გურია | 17 | 3 | 0 | 14 | 13-47 | 9 |
| დურუჯი | 17 | 0 | 1 | 16 | 5-74 | -1 |

## მეორე ჯგუფი.

### აღმოსავლეთის ზონა

18 მარტი XX ტური

ალგეთი — მერანი-91 0:1

არმაზი — აზოტი 1:0

კოდაკო — მორკინალი 1:2

იბერია — ჭაბუკიანი 0:1

19 მარტი

ცხინვალი — მესხეთი 2:0

დინამო-2 — ასკ 1:1

შ.ს.ს. აკადემია — თორი 6:1

ენერგეტიკოსი — შირაქი მატჩი არ ჩატარდა და გადათამაშდება

უინერი — მრეტები 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერანი-91 | 19 | 14 | 2 | 3 | 58-11 | 44 |
| აკადემია | 19 | 14 | 1 | 4 | 28-20 | 43 |
| დინამო-2 | 19 | 12 | 3 | 4 | 42-17 | 39 |
| აზოტი | 19 | 10 | 6 | 3 | 35-15 | 36 |
| მორკინალი | 19 | 10 | 5 | 4 | 29-15 | 35 |
| არმაზი | 19 | 9 | 7 | 3 | 24-11 | 34 |
| ჭაბუკიანი | 19 | 10 | 2 | 7 | 47-34 | 32 |
| ალგეთი | 19 | 8 | 4 | 7 | 25-27 | 28 |
| უნივერსიტეტი | 18 | 8 | 3 | 7 | 26-24 | 27 |
| ენერგეტიკოსი | 18 | 8 | 3 | 7 | 27-25 | 27 |
| ასკ | 19 | 7 | 4 | 8 | 23-25 | 24 |
| იბერია | 19 | 8 | 0 | 11 | 23-29 | 24 |
| შირაქი | 18 | 5 | 4 | 9 | 17-36 | 19 |
| მრეტები | 19 | 5 | 4 | 10 | 17-24 | 19 |
| უინერი | 19 | 5 | 3 | 11 | 19-43 | 18 |
| ცხინვალი | 19 | 4 | 6 | 9 | 16-21 | 18 |
| კოდაკო | 19 | 4 | 5 | 10 | 23-42 | 17 |
| თორი | 19 | 2 | 4 | 13 | 16-48 | 10 |
| მესხეთი | 19 | 2 | 2 | 15 | 15-57 | 8 |

### დასავლეთი ზონა

18 მარტი

მამისონი — სამგურალი 2:3

ჩიხურა — საპოვნელა 0:2

19 მარტი

შუქურა — სქური 6:3

მარგვეთი-2 — ბახმარო 2:0

კოლხეთი-2 — მალაროელი 0:3

დინამო-2 — მერცხალი 0:0

რწმენა — მეშახტე 4:0

ანჯელი — კახაბერი 2:0

ჩხერიმელა — სამეგრელო 4:0

იმერეთი — სულორი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანჯელი | 20 | 18 | 0 | 2 | 57-14 | 54 |
| სამგურალი | 20 | 17 | 2 | 1 | 57-17 | 53 |
| შუქურა | 20 | 16 | 3 | 1 | 70-18 | 51 |
| მალაროელი | 20 | 16 | 1 | 3 | 48-19 | 49 |
| კახაბერი | 20 | 14 | 0 | 6 | 41-26 | 42 |
| სულორი | 20 | 13 | 1 | 6 | 41-26 | 40 |
| მერცხალი | 20 | 8 | 7 | 5 | 25-18 | 31 |
| მამისონი | 20 | 9 | 2 | 9 | 33-32 | 29 |
| იმერეთი | 20 | 8 | 3 | 9 | 28-29 | 27 |
| რწმენა | 20 | 8 | 2 | 10 | 33-30 | 26 |
| კოლხეთი-2 | 20 | 7 | 4 | 9 | 26-26 | 25 |
| საპოვნელა | 20 | 7 | 4 | 9 | 37-40 | 25 |
| სამეგრელო | 20 | 6 | 4 | 10 | 34-45 | 22 |
| დინამო-2 | 20 | 5 | 7 | 8 | 34-36 | 22 |
| მარგვეთი-2 | 20 | 6 | 1 | 13 | 24-43 | 19 |
| მეშახტე | 20 | 5 | 3 | 12 | 32-37 | 18 |
| სქური | 20 | 5 | 2 | 13 | 26-43 | 17 |
| ჩიხურა | 20 | 4 | 3 | 13 | 27-55 | 15 |
| ჩხერიმელა | 20 | 2 | 1 | 17 | 30-85 | 7 |
| ბახმარო | 20 | 0 | 2 | 18 | 19-72 | 2 |

# ჩაჩუა გუჩუას დაბრუნებას აპირებს

სამწუხარო ფაქტია — ჩვენი ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერ „სამტრედიას" გამოაკლდა კიდევ ერთი წამყვანი ფეხბურთელი — ვალტერ გუჩუა, რომელმაც განაცხადა, რომ გუნდში აღარ დაბრუნდება. თქმა არ უნდა, რომ ეს ამბავი „სამტრედიის" ხელმძღვანელობას დიდად არ გაახარებდა. თვითონ გუჩუას თქმით, მისი წამოსვლის მიზეზი კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობაა, თუმცა სამტრედიელთა აწ უკვე საპატიო პრეზიდენტმა ტარიელ ჩაჩუამ ვითარება სხვაგვარად წარმოგვიჩინა:

„გუჩუას საპრეტენზიო არაფერი უნდა ჰქონდეს: ყველა ხელფასი და პრემია აქვს მიღებული. მას სამი წლით ჰქონდა კონტრაქტზე ხელი მოწერილი და კონტრაქტის პირობები შეუსრულდებოდა კიდეც. მისი საქციელი — თვითნებურად გუნდის მიტოვება და პირობების წამოყენება — ყოვლად გაუმართლებელია. არც ისეა საქმე, როგორც მას ჰგონია. არსებობს წესი, რომლის თანახმადაც გუჩუამ ფეხბურთის ფედერაციას უნდა მიმართოს შესაბამისი განცხადებით და ფედერაციამ ჩვენ უნდა დაგვავალოს კონტრაქტში მითითებული პირობების შესრულება. თუ ჩვენ ამას შევძლებთ, მაშინ კონტრაქტის დამრღვევი თვითონ გუჩუა აღმოჩნდება. გარდა ამისა, მის წასვლას მორალურადაც ვერ გავამართლებ. ჩვენ შევხვდებით მას და, ვფიქრობ, დავაბრუნებთ „სამტრედიაში".

# ხაჭაპურიძეც მიდის?



არასასიამოვნო ამბავი მოვიდა ჩვენამდე — ზესტაფონის „მარგვეთის" პრეზიდენტი ვასილ ხაჭაპურიძე გუნდის დატოვებას აპირებსო. მართალია ეს თუ ჭორი, ვერაფერს გეტყვით, მაგრამ თუ მოვლენები მართლაც ასე განვითარდა, ვფიქრობ, ეს „მარგვეთსა" და, საერთოდ, ქართულ ფეხბურთს წაადგეს. ხაჭაპურიძემ ეს აუტსაიდერი გუნდი წელში გამართა და წლევანდელ ჩემპიონატს ერთ-ერთი ლამაზი გუნდი აჩუქა, გუნდი, რომლის თამაშმაც, „დინამოსთან" და „სამტრედიასთან" ერთად, შნო და ელფერი შესძინა ჩემპიონატს და სტიმული მისცა მის ჩატარებას. ამბობენ, ქალაქის ხელმძღვანელობის ფეხბურთისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამოა, ხაჭაპურიძეს გული რომ გაუტყდა და „მარგვეთის" დატოვებაც ამის გამო განიზრახაო. საერთოდ კი, იგი ფეხბურთისთვის თავის დანებებას, თურმე, არ აპირებს, გარდა ამისა, ჩვენთვის ცნობილი გახდა ისიც, რომ ხაჭაპურიძე ზესტაფონში საფეხბურთო ლიცეუმის დაარსებას აპირებს, სადაც ქართული ფეხბურთის მომავალი თაობა გამოიზრდება.

ოთხშაბათს საქართველოს ნაკრები მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატისთვის მზადებას იწყებს და კვიპროსში მასპინძელთა ეროვნულ გუნდს ხვდება. ამ ქვეყნის გუნდთან ჩვენებს უკვე ერთი მატჩი გამართული აქვთ და 0:1 დამარცხდნენ. ეს შეხვედრა საქართველოს ნაკრებისთვის რიგით 23-ე იქნება. აქვე ვიტყვით, რომ ჩვენი ფეხბურთის ფედერაცია ჩამონათვალში გამორიცხავს 1993 წლის მაისში აზერბაიჯანში გამართულ შეხვედრას (0:1), რომელიც ჩვენმა გუნდმა მეორე შემადგენლობით ( ოფიციალური ვერსიით, „კლუბთა ნაკრებით") ჩაატარა, თუმცა ფიფას რეესტრში ეს თამაში ოფიციალურად შეტანილია.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. | თბილისი | 26.05.1990 | საქართველო — ლიტვა 2:2 | გურული, კაჭარავა |
| 2. | კიშინიოვი | 02.07.1991 | მოლდოვა — საქართველო 2:4 | ქეცბაია, დარასელია, მ. ჯიშკარიანი, ყაველაშვილი |
| 3. | კაუნასი | 02.09.1992 | ლიტვა — საქართველო 1:0 | |
| 4. | გურჯაანი | 17.09.1992 | საქართველო — აზერბაიჯანი 6:3 | ყიზილაშვილი-2, დარასელია, შ. არველაძე, გოგიჩაიშვილი (პ), გ. ჯიშკარიანი |
| 5. | ლიმასოლი | 22.12.1992 | კვიპროსი — საქართველო 1:0 | |
| 6. | ლა-ვალეტა | 08.02.1994 | სლოვენია — საქართველო 1:0 | |
| 7. | ლა-ვალეტა | 10.02.1994 | მალტა — საქართველო 0:1 | ქეცბაია |
| 8. | ლა-ვალეტა | 12.02.1994 | საქართველო — ტუნისი 2:0 | ყაველაშვილი, კუდინოვი |
| 9. | აშდოდი | 23.02.1994 | ისრაელი — საქართველო 2:0 | |
| 10. | იბადანი | 11.06.1994 | ნიგერია — საქართველო 5:1 | რ. არველაძე |
| 11. | რიგა | 26.06.1994 | ლატვია — საქართველო 1:3 | დ. ჯანაშია, კაჭარავა, ჯამარაული |
| 12. | თბილისი | 19.07.1994 | საქართველო — მალტა 1:1 | შ. არველაძე (პ) |
| 13. | თბილისი | 07.09.1994 | საქართველო — მოლდოვა 0:1 | |
| 14. | სოფია | 12.10.1994 | ბულგარეთი — საქართველო 2:0 | |
| 15. | თბილისი | 16.11.1994 | საქართველო — უელსი 5:0 | ქეცბაია-2, ქინქლაძე, გოგრიჭიანი, შ. არველაძე |
| 16. | ტირანა | 14.12.1994 | ალბანეთი — საქართველო 0:1 | შ. არველაძე |
| 17. | თბილისი | 29.03.1995 | საქართველო — გერმანია 0:2 | |
| 18. | თბილისი | 26.04.1995 | საქართველო — ალბანეთი 2:0 | შ. არველაძე, ქეცბაია |
| 19. | კარდიფი | 07.06.1995 | უელსი — საქართველო 0:1 | ქინქლაძე |
| 20. | ნიურნბერგი | 06.09.1995 | გერმანია — საქართველო 4:1 | ქეცბაია |
| 21. | თბილისი | 11.10.1995 | საქართველო — ბულგარეთი 2:1 | შ. არველაძე, ქინქლაძე (პ) |
| 22. | კიშინიოვი | 15.11.1995 | მოლდოვა — საქართველო 3:2 | დ. ჯანაშია, კულიბაბა (ს. კ.) |

90
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბადრი დარასელია: მეგონა ფეხი მომტეხეს...

ადამიანს მისთვის ყველაზე ავადმოსაგონარს რომ არ შეახსენებენ ხოლმე, ყველა ნორმალურს მოეხსენება და ამიტომ, როცა „სამტრედია" — „დინამოს" მატჩის დაწყებამდე ბადრი დარასელია დავინახე, გავიფიქრე: საუბრისას რამენაირად მხოლოდ ფეხბურთზე უნდა ველაპარაკო-მეთქი. ეს ვერ შევძელი — ჩემი მოსაუბრე საფეხბურთო თემას ხშირად გადაუხვევდა ხოლმე. რა უბედურებაც დაატყდა დარასელიების ოჯახს გასული წლის ოქტომბერში, გულშემატკივარს კარგად მოეხსენება. იმ დღის შემდეგ უგონოდ მყოფი ბადრი დარასელია ფეხბურთს ჩამოშორდა, ან კი რა ეფეხბურთებოდა, როცა ექიმები განძრევის საშუალებას არ აძლევდნენ...

... მოკლედ, როდესაც ბადრი დავინახე, გამეხარდა, ვიფიქრე, საბოლოოდ გამოჯანმრთელდა-მეთქი. ასეც ყოფილა, თუმცა: „ჯერჯერობით ძველებურად მთელი დატვირთვით ვერ ვვარჯიშობ, — მითხრა ბადრიმ — „მიუხედავად იმისა, რომ ტკივილები აღარ მაწუხებს..."

როგორც გითხარით, ბადრი საუბრის თემას ხშირად ცვლიდა ხოლმე.

...დიდი უბედურება მოხდა, დავკარგე მეუღლე, მეგობარი, უახლოესი ადამიანები...

... ახლა ტკივილებს ვერ ვგრძნობ, მალე ვარჯიშსაც შევუდგები...

**— როგორ ფიქრობ, როდის?**



ზვიად ქაძანაია და ბადრი დარასელია

— ალბათ, ორ-სამ კვირაში. უფრო მეტიც. მარტო ვარჯიშს კი არა, ალბათ, ძველებურად თამაშსაც შევძლებ, მიუხედავად ავარიაში მიღებული ტრავმისა, თუმცა... მე არაფერი მახსოვს.

... თვე და ხუთი დღე უგონოდ ვიწექი. მეუღლისა და მეგობრების გარდაცვალების შესახებ არაფერი ვიცოდი. ახლა ისიც კი არ მახსოვს, ეს უბედურება ჩემი ქორწილის დღეს რომ მოხდა. ეს დღემდე ვერ ავიდგინე. შემდეგ უკვე ავარიის გარდა ყველაფერი გავიხსენე, თვითონ ავარია — ვერა და ვერა...

**— იმედია, მალე გამოხვალ მდგომარეობიდან...**

— სანამ ცოცხალი ვარ, ამ ტრაგედიის დავიწყება არ მიწერია. მაგრამ, სტრესის მიუხედავად, უნდა დავუბრუნდე ფეხბურთს და ვითამაშო ისეთ დონეზე, მე რომ მსურს. ეს უნდა შევძლო ცოცხლებისთვისაც და გარდაცვლილთა სულებისთვისაც...

...საავადმყოფოში, გონზე რომ მოვედი, მითხრეს, ფეხი ვარჯიშის დროს მოიტეხეო. ამის გარდა არაფერს მეუბნებოდნენ — არ შეიძლებოდა. დაეჭვებული საკუთარ თავს და ბიჭებს სულ ვეკითხებოდი, ფეხი როგორ მომტყდა, მარცხენას ხომ თითქმის არ ვხმარობ-მეთქი. გუჩუამ ვარჯიშის დროს ფეხი ჩაგარტყაო. ვალტერი ცოტა უხეში მოთამაშეა და ამიტომ დავიჯერე, მაგრამ შემდეგ ქალების და დედაჩემის ლაპარაკს მოვკარი ყური და ისევ დავეჭვდი. დედაჩემს შევუჩნდი, მითხარი, რაშია საქმე-მეთქი. ძალიან რომ დავიჟინე, მითხრეს, ზვიად ქაძანაია და ოპერატორი ლეკვეიშვილი გარდაიცვალნენო. ესეც ძალისძალით გამოვტყუე ზვიადის დეიდას. ინგაზე მომატყუეს — მოსკოვშიაო. ჩემი საავადმყოფოდან გამოწერა ჯერ არ შეიძლებოდა, მაგრამ ახლობლები ვაიძულე, ასე მოქცეულიყვნენ. სახლში ძველით ახალ წელს მიმიყვანეს. მითხრეს, ინგა მოსკოვიდან ვერ ჩამოფრინდა — მასაც ფეხი აქვს მოტეხილიო. ჩემებს ვუსაყვედურე, მეც მოსკოვში რატომ არ დამაწვინეთ-მეთქი. მძიმე მდგომარეობის გამო შენთვის დიდხანს მგზავრობა არ შეიძლებოდაო, — მიპასუხეს. ძველით ახალ წლამდე ინგას ზუგდიდში ველოდი, ჩემი და კი მატყუებდა — მოსკოვში ვრეკავ და ვერ ვუკავშირდებიო. ბოლოს ნათესავები და ოჯახის წევრები შეიკრიბნენ, ვიგრძენი — ცუდის სათქმელად, მაგრამ ამას არ ველოდი...

... თანდათან მდგომარეობიდან გამოვდივარ, ვარჯიშსაც შევუდექი.

**— არ გბეზრდება?**

— არავითარ შემთხვევაში. პირიქით, სიამოვნებითაც კი ვვარჯიშობ. ტელევიზორში ფეხბურთის ყურებისას ერთი სული მქონდა, რაც შეიძლება მალე დავბრუნებულიყავი მინდორზე და გული გადამეყოლებინა. ამის გამო ვარჯიშებზე ძალიან გადავიტვირთე, რაც ჩემთვის არ შეიძლებოდა. მაგრამ რა ვქნა, ვერ ვუმკლავდები ფეხბურთის თამაშის სურვილს. უკვე მეხუთე თვე იწურება, რაც აღარ მითამაშია. იმედი მაქვს, ცოტა ხანში ამ „ვაკუუმს" შევავსებ და სასურველ ფორმასაც მივაღწევ...

...ეჰ, იმ ტკივილს კი ვერაფერი გააყუჩებს...

მერაბ მამულაშვილი



დღეს რომ „სამტრედია" ლიდერთა შორისაა, უდავოდ მისი მწვრთნელის, **კახა ელაშვილის** დამსახურებაა. არადა, ბევრი ფიქრობდა, რომ ხურცილავას წასვლა უმწვრთნელოდ დარჩენილ „სამტრედიას" უარყოფით კვალს დაამჩნევდა. მაგრამ პირველმა წრემ ელაშვილის მიმართ ეჭვები საბოლოოდ გააქარწყლა. იგი საქმეს დიდი ენთუზიაზმით შეუდგა და სამტრედიელებს ამჟამად მასზე სამდურავი ნამდვილად არ ეთქმით.

...მიზეზთა გამო „სამტრედიამ" ჩემპიონატისთვის მზადება, სხვა ლიდერებისგან განსხვავებით, გვიან დაიწყო. ამ ფაქტორმა შესაძლოა, ჩემპიონატის მსვლელობისას იჩინოს თავი, თუმცა ელაშვილი პესიმისტურად მაინც არ არის განწყობილი. „მოსამზადებელ პერიოდში ბევრი ვიმუშავეთ", — ამბობს სამტრედიელთა მთავარი მწვრთნელი.

# მაინც ვიბრძოლებთ!

**— გუნდიდან ხუთი წამყვანი მოთამაშე წავიდა. აქედან სამი — თავდამსხმელი. რა აზრისა ხართ მათ შემცვლელებზე?**

— ისეთი თავდამსხმელები, როგორებიც წავიდნენ, არ გვყავს, მაგრამ ახლებიც არ გამოიყურებიან ცუდად. ხუჭუა ჯერჯერობით ჩემს იმედებს ამართლებს, ვნახოთ, მომავალში როგორ ითამაშებს. გვასალიაზეც ამასვე ვიტყოდი.

**— გუჩუას წასვლაც გარკვეულ პრობლემებს შეგიქმნიდათ...**

— გუჩუას საქციელი სწორი არ იყო. ისე, მე ვალტერს არ ვამტყუნებ, თუმცა მისი გამართლებაც არ შემიძლია.. ყველა მოთამაშეს აქვს გარკვეული პრეტენზიები — მათაც შეეძლოთ გუნდის დატოვება. გუჩუამ ჩვენთან მოლაპარაკებაც კი არ ჩათვალა საჭიროდ — ისე წავიდა, ამიტომ მისი საქციელი ღალატის ტოლფასია. სიცივეს რომ არ შეეწუხებინა და პრობლემები არ ჰქონოდა, ბაზაზე არ ვაჩერებდი, ჩემთან, სახლში მიმყავდა. საერთოდ, იგი ჩემთვის შვილივით იყო. ცოტა რიდი რომ ჰქონოდა, წლის ბოლომდე გაჩერდებოდა გუნდში და სეზონს როგორმე ჩაამთავრებდა.

**— ვინ შეცვლის მას?**

— გუჩუას ორ ადგილზე ვათამაშებდით — წინა მცველად და საყრდენ ნახევარმცველად. თუმცა გამოვნახეთ ორივე ამპლუაში მოთამაშე ფეხბურთელები. ისინი გუჩუაზე ნაკლებები როდი არიან.

**— ახალ მოთამაშეებზე რას გვეტყვით?**

— ჯერჯერობით მათი თამაშით კმაყოფილი ვარ. გუნდს შესანიშნავად შეეწყვნენ, პრობლემებიც არ აწუხებთ. ისინი კარგი ადამიანები და ასეთივე ფეხბურთელები არიან.

**— ხუთი წამყვანი მოთამაშის წასვლა ნებისმიერ გუნდს გატეხავს წელში. თქვენი აზრით, გაუწევს ასეთ სიტუაციაში მყოფი „სამტრედია" „დინამოს" შარშანდელივით კონკურენციას?**

— რა თქმა უნდა, ეს გუნდს ძალიან ეტყობა, მაგრამ ჩვენ ბრძოლისთვის მაინც მზად ვართ. იმის პირობას ვერავის მივცემ, რომ პირველ ან მეორე ადგილს დავიკავებთ, ან თასის ფინალში გავალთ. მაგრამ, ჩვენზე რაც იქნება დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებთ. მეორე წრეში თამაში ჩვენთვის ადვილი არ იქნება და მძიმე ბრძოლები გველის, განსაკუთრებით აუტსაიდერებთან, რადგან მათთან, ძირითადად, სტუმრად გვიწევს თამაში.

**— ფეხბურთელთა წასვლის გამო ტაქტიკაში კორექტივებს ხომ არ შეიტანთ?**

— აუცილებლად. იმას, რაც ევალებოდათ იონანიძეს და ჯანაშიებს, ახლები ჯერ ვერ შეასრულებენ. რა დასამალია და თავდასხმაში გვიჭირს. იგი რომ სრულფასოვანი გავხადოთ, ამისათვის დრო დაგვჭირდება. ახალ თავდამსხმელებს უფრო სხვაგვარ დავალებებს ვაძლევ, ვიდრე წასულებს. მაგრამ საბოლოოდ როგორ შევცვლი თავდასხმას, ეს უკვე საიდუმლოა.

**— ფეხბურთელთა ფიზიკური მომზადების დონე თუ გაკმაყოფილებთ?**

— მთლიანად ვერა, მაგრამ რამდენიმე თამაშის შემდეგ, ვფიქრობ, სასურველ დონეს მივაღწევთ. ჯერჯერობით კი ამ მხრივ ბევრი სამუშაოც გველის...

**— ჩემპიონატის მსვლელობისას თქვენ ბრძანეთ, რომ დიდი სიამოვნებით დაუთმობდით ადგილს უფრო გამოცდილ სპეციალისტს. მაგრამ გუნდმა პირველი წრე ჩინებულად ჩაატარა, ტარიელ ჩაჩუაც თქვენი მუშაობით კმაყოფილია...**

— მწვრთნელობა რომ დავიწყე, ამაში ჯუმბერ ხაყალიას დიდი დამსახურებაა. მანამდე ბავშვთა მწვრთნელი ვიყავი, ჯუმბერმა კი თავისთან, მოზრდილებში წამომიყვანა და გამომზარდა კიდეც. მერეც, გიგა ნორაკიძეს და მურთაზ ხურცილავასთან მუშაობისას, ბევრი რამ შევიძინე. ნურავინ მიწყენს და ნორაკიძეზე დიდი მწვრთნელი არავინ მეგულება. როგორც ხედავთ, დიდი გამოცდილება შევიძინე, ასეთ სპეციალისტებთან ხომ ბევრს ისწავლი. დღეს რასაც ვაკეთებ, სწორედ მათი წყალობა და დამსახურებაა.

**— ფსიქოლოგიური თვალსაზრისით როგორ შეეგუეთ მთავარ მწვრთნელობას? ეს ხომ სულ სხვა პასუხისმგებლობაა, ვიდრე მეორე მწვრთნელობა...**

— ის, რომ მთავარი მწვრთნელი ვარ, შემთხვევითი არ არის. მე მანამდეც მიმუშავია ამ ადგილზე. რაც შეეხება „სამტრედიის" მწვრთნელობას, ამას ვიტყოდი: ადგილობრივი კაცისთვის ძნელია გუნდთან მუშაობა. ავიღოთ თუნდაც სოსო ფილიას მაგალითი. გარდა ამისა, მე მთავარი მწვრთნელობის დიდი სურვილი მაინცდამაინც არა მაქვს. ადრეც განვაცხადე, თუკი გუნდის ხელმძღვანელობა გამონახავს ჩემს შემცვლელს, დიდი სიამოვნებით დავუთმობ ადგილს-მეთქი. თუკი ამით „სამტრედიაში" მდგომარეობა გამოსწორდება, მე გული არ დამწყდება.

მერაბ მამულაშვილი

## ფიგარო ჩიხო




„სარბიელის" ბოლო ნომრებში ჩიხრაძის ტრავმაზე ვწერდით. ჯერ ლოგინს მიჯაჭვული გვეგონა, მერე თავად გვითხრა, კარგად ვარ და შეიძლება თბილისშიც ჩამოვიდეო. მართლაც ჩამოსულა: მოულოდნელად შუა რუსთაველზე არ შემეფეთა! ლადო ასათიანის ცნობილი ლექსი კი გამახსენდა, მაგრამ პოეზიაზე არ გვისაუბრია....

**— გიორგი, ერთი ამბავი ავტეხეთ, ჩიხრაძე დაგვემტვრაო და შენ კი რუსთაველზე დასეირნობ?**

— აკი გითხარით, სასიკვდილო არაფერი მჭირს-მეთქი. სამ-ოთხ დღეში ვარჯიშსაც დავიწყებ. თუ ტრავმა გაინტერესებს, გაჩვენებ — (და.მარჯვენა ლავიწის ძვალთან კაკალივით ამობურცული კუნთი მანახა) — კუნთის მყესის ნაწილობრივი დაზიანება მაქვს. ყველაფერი გაყინული მოედნის ბრალია: გარღვევაზე წავედი და მცველმა უკნიდან სარმა გამომიდო, ვიფიქრე, ბარემ გადავკოტრიალდები და ინერციით ფეხზე წამოვხტები-მეთქი, მაგრამ მხარის დადება იმ ბეტონივით მინდორზე და კუნთის საშინელი ტკივილი ერთი იყო. ფეხზე ძლივს წამოვდექი, მარჯვენა ხელიც გამიშეშდა. ვიფიქრე, ან ახლა გამივლის, ან ახლა-მეთქი, მაგრამ მივხვდი, სერიოზულად იყო საქმე. გამომცვალეს და მიწამლეს, როგორც შეეძლოთ...

**— მაშ საბერძნეთის ნაკრებთან მატჩისთვის მზად იქნები?**

— მე კი ვიქნები მზად, მაგრამ რად გინდა, მოლდოვასთან მეორე ყვითელი ბარათის გამო გაძევება უეფამ ძვირად დამისვა — ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მომცეს. ასე რომ, იტალიელებთანაც გამომატოვებინეს თამაში და ინგლისელებთანაც.

**— „შახტიორში" რა ხდება?**

— ამ სეზონსაც ჩავამთავრებ და წავალ დონეცკიდან. ჩემი და მთავარი მწვრთნელის, რუდაკოვის ურთიერთობა მთლად კარგი ვერ არის. თანაც, რუსეთის უმაღლესი ლიგის რამდენიმე გუნდიც მეპატიჟება.

**— ადრე ბუნდესლიგაშიც უნდა წასულიყავი. რომელი კლუბიდან გქონდა მიწვევები?**

— გერმანიაში საწვრთნელო შეკრების დროს „მიუნხენ 1860-ს" 1:1 ვეთამაშეთ. ის თამაში მართლაც კარგად ჩავატარე. მერე კლუბში გერმანიიდან არაერთხელ დარეკეს, მაგრამ რომელ კლუბს ვუნდოდი, არ მითხრეს. თავის ქებად არ ჩამომართვა და, არ უნდათ ჩემი გაშვება „შახტიორიდან".

**— თქვენი პრეზიდენტის მკვლელობა ხომ არ გაუხსნიათ?**

— ჯერ არა, გამოძიება კი მიმდინარეობს.

**— მაშ, არაა გამორიცხული, კიდევ შეიცვალო კლუბი?**

— „შახტიორი" წელს ვერც მაღალ ადგილს დაიკავებს, ვერც ევროთასებზე გამოვა, სხვა კლუბებიდანაც მიწვევები მაქვს. ახლა გულში მეცინება კიდეც, როცა გამახსენდება, ცარიელ-ტარიელმა რუსეთს რომ მივაშურე ბედის საძებრად. მთელი ცხოვრება ჩემი ძალღონით გამაქვს თავი, ასეთი ბედი მაქვს. რაკიღა აქამდე მოვედი და ცხოვრებაც ასე თუ ისე ავაწყვე, იმედი მაქვს, მომავალშიც გამიმართლებს.

მამუკა კვარაცხელია

# უგუნდოთა ნაკრები

ერთი გუნდიდან მეორეში გადასვლა რომ აუკრძალეს, ჟან-მარკ ბოსმანმა იმდენი ქნა, საფეხბურთო ევროპა ყირაზე დააყენა. არ ვიცით, მიბაძავენ თუ არა უგუნდოდ დარჩენილი ქართველი ფეხბურთელები ბელგიელი კოლეგის მაგალითს, მაგრამ მათგან სიმბოლური ნაკრები რომ შევადგინოთ და ჩემპიონატში ჩავრთოთ, არა გვგონია, ეს გუნდი ცხრილის შუაგულში ჩარჩეს. ამ „ნაკრებში" ბევრ ძლიერ ფეხბურთელს ვნახავთ, ზოგს ეროვნულ ნაკრებშიც კი უთამაშია ადრე, ზოგიც ახლა თამაშობს. არ ვიცით, ვინაა დამნაშავე, მაგრამ ქვემოთ ჩამოთვლილი ფეხბურთელებიდან თითოეული ნებისმიერი გუნდისთვის (არა მარტო ქართული) დიდი შენაძენი რომ იქნება, ფაქტია. ფეხბურთელების გვარების გასწვრივ ის კლუბებია მითითებული, სადაც ისინი ბოლოს გამოდიოდნენ.

1. ივანე ბერაძე (შევარდენი)
2. გიორგი ჯიქაევი (სამტრედია)
3. გოჩა ცუცქაბიძე (როსტსელმაში, რუსეთი)
4. გია ფირცხალავა (დინამო)
5. კობა ჟორჟიკაშვილი (შევარდენი)
6. დავით ცომაია (სამტრედია)
7. გია ჯიშკარიანი (სამტრედია)
8. ვალტერ გუჩუა (სამტრედია)
9. ოთარ კორღალიძე (ფლორა, ესტონეთი)
10. გრიგოლ ცაავა (დინამო)
11. ბადრი კვარაცხელია (შსს აკადემია)

ნაკრებს უმწვრთნელოდ ხომ არ დავტოვებთ. ჰოდა, ამ ადგილზე ორი კანდიდატი გვყავს: ჯონი ჯანელიძე, „შევარდენს" რომ წვრთნიდა პირველ წრეში, და მერაბ კოჭლაშვილი, რომელიც ხაშურის „ივერიას" ედგა სათავეში. თუ ჩვენამდე მოსული ხმები გამართლდა, „მარგვეთის" პრეზიდენტი ხაჭაპურიძე გუნდს ტოვებს და „ჩვენი" გუნდის თავკაციც გამოინახება. მოკლედ, თავად ხედავთ, ლიგაში არავისზე ნაკლები გუნდი არ იქნება. მაგრამ საშინელება მაშინ ნახეთ, ბოსმანის მაგალითს თუ მიბაძეს. ამდენი ქართველი ბოსმანი — მტრისას!!!

ინგლისური ენის შესწავლის მსურველებს

გიწვევთ ილონა დავიდოვას „ექსპრეს-მეთოდით" შემსწავლელ სამთვიან კურსებზე. სწავლება მიმდინარეობს ლინგოფონური სისტემით.

ჩვენი მისამართია:
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მე-7 კორპუსი, მე-3 სართული, საგზაო-სავტომობილო ფაკულტეტის დეკანატი.

ტელეფონი:
36-00-94, 36-65-00, 93-36-71

# სენსაცია ბორდოში

## უეფას თასი
## 19 მარტი. საპასუხო შეხვედრები

### ბორდო 3:0 მილანი

ბორდო: უარი, ტოიე, ლიზარაზუ, ფრის-პასენი, დოგონი, ლუკა, დუტუელი (გრიმერი 60), ზიდანე, ვიჩხე, ტოლო (ბორენე 86), დუგარი

მილანი: იელპო, პანუჩი, მალდინი, ვი-ერია (ლოკატელი 71), კოსტაკურტა, ბარეზი, ერანიო (ალბერტინი 24), დე-საი, ვეა, ბაჯო (დი კანიო 46), დო-ნადონი

გოლი: ტოლო (14), დუგარი (63, 69)

გაფრთხილება: მალდინი, კოსტაკურტა, დი კანიო, დუგარი

„ბორდო" უეფას თასზე „ინტერტო-ტოს" გავლით მოხვდა. ალბათ ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ გუნდი, რომელმაც შარშან, ეროვნულ ჩემპიონატში ისეთ შედეგს ვერც კი მიაღწია, პირდაპირ უეფაზე რომ დაეშვათ, იქ რაიმე სერიოზულს მოაწერხებდა. თანაც, მიმდინარე სეზონიც საკმაოდ ულიმღამოდ მიუდის — საფრანგეთის ცხრილის შუაშია. ასე რომ, მეოთხედფინალში გასვლა ბორდოელთათვის უკვე მიღწევა იყო. კენჭისყრამ მეტოქედ ძლევამოსილი „მილანი" რომ არგუნა, ფრანგული გუნდი მთელმა ევროპამ გამოიტირა. პირველი მატჩიც ლოგიკურად დამთავრდა — 2:0 „მილანის" სასარგებლოდ. სამშაბათს, საპასუხო შეხვედრაში კი კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ფეხბურთი საოცარი, მოულოდნელობებით აღსავსე თამაშია. ცხადია, ბორდოელთა ტრიუმფს და მილანელთა ფიასკოს რაღაც ფარული, გარედან შეუმჩნეველი, ადამიანთაგან ამოუხსნელი ლოგიკა მაინც ექნებოდა. შესაძლოა იტალიელ ფეხბურთელთა კვირის გაფიცვამაც იმოქმედა, თან ფავორიტებს მარკო სიმონე, დეიან საჩიჩევიჩი და ზვონიმირ ბობანი აკლდათ, იმავდროულად, ალბათ, ფრანგულ გუნდში ჩვენთვის უცნობი ალმავლობაა. თუმცა, სჯობს ამოცანების ამოხსნას შევეშვათ, და უბრალოდ ვთქვათ, რომ იმ საღამოს „ბორდოს" ფეხბურთელებმა სტადიონზე შეკრებილ 35 ათას მაყურებელს ზღაპრული გამარჯვება აჩუქეს. „ბორდო" უეფას თასის ნახევარფინალში პირველადაა, ჩემპიონთა და თასების თასის ნახევარფინალში კი 80-იანი წლების შუაში იყო.

„მილანს" სამბურთიანი სხვაობით ევროშეჯიბრებებში 1979 წლის მერე არ წაუგია. სუპერგუნდმა ბოლო სამ სეზონში ჩემპიონთა თასის ფინალში ითამაშა, ახლა კი უეფაზე გადაინაცვლა და... მე-15 წუთზე ბისენტ ლიზარაზუმ დიდიე ტოლოს ჩააწოდა და ტოლომ ანგარიში გახსნა. მეორე ტაიმში, 65-ზე, კრისტოფ დუგარიმ დაახლოებით 12 მეტრიდან დაარტყა ზუსტად, 69-ზე კი იმავე დუგარიმ ზინედინ ზიდანეს მიერ მიწოდებულ ბურთს სწორი მისამართი მოუძებნა. სტუმართაგან მრისხანე იერი მხოლოდ ევროპის, აფრიკის და პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელ ჟორჟ ვეას ჰქონდა. მან ორჯერ სცადა ჩარხის შეტრიალება, მაგრამ ორივეჯერ ფრანგმა მეკარემ გაეტან უარმა ითამაშა ბრწყინვალედ. ვეა ნაღდი ვაჟკაცი ყოფილა. როგორც მატჩის შემდეგ დამარცხებულთა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ განაცხადა, ლიბერიელს შუა თამაშში ხელი მოუტეხია, მაგრამ არ შეუმჩნევია და ასე დაშავებულს ჩაუმთავრებია შეხვედრა. ცხვირი გაიტეხა ალესანდრო კოსტაკურტამ და თუმცა სისხლდენის გამო ორჯერ ექიმთან მიირბინა, მანაც ვაჟსებრი გმირობა ჩაიდინა, მოედნიდან არ გასულა.

### ეინდჰოვენი 2:3 ბარსელონა

პსვ: ვატერეუსი, ვან დერ ვეერდენი, კლომპი, კოკუ, ნუმანი, ვან დერ დულენი (გუდიონსენი 46), ფინკი, იონკი (მაასი 86), ეიკელკამპი, ნილისი, ზენდენი

ბარსელონა: ბუსკეტი, ფერერი, აბელარდო, გვარდიოლა, პოპესკუ, ბაკერო (როჯერი 51), ფიგუ (ალბერტი 72), ამორი, ნადალი, პაჯი (ანხელი 84), სერხი

გოლი: ბაკერო (3), ფიგუ (22), კოკუ (41), ეიკელკამპი (65), სერხი (79)

გაძევება: ნადალი

— არ მესმის, რა აქვს ხალხს სანერვიულო. ჩვენ ხომ ზედმიწევნით ვიცით, როგორც თამაშობს „ეინდჰოვენი" — თქვა „ბარსას" მწვრთნელმა იოჰან კრუიფმა კვირას ჰოლანდიაში გამგზავრების წინ.

ხალხი მაინც ნერვიულობდა. განა კრუიფმა პირველი მატჩის წინ არ იცოდა ზედმიწევნით „ეინდჰოვენის" თამაშის ყაიდა? იცოდა, მაგრამ შეხვედრა ფრედ 2:2 დამთავრდა, თანაც შინ. ესე იგი მწვრთნელი მოთამაშეებს ისე ველარ არიგებს, როგორც ადრე, როდესაც ოთხ სეზონში ორჯერ გაიყვანა „ბარსა" ჩემპიონთა თასის ფინალში და ერთხელ მოაგებინა. მაშინ კატალონიელთა გუნდში რომარიო და სტოიჩკოვი დაფრინავდნენ. ახლა კი გულშემატკივარი უკმაყოფილოა. ბოსნიელმა მეჰო კოდრომ „ბარსელონაში" გადასვლის მერე გოლების გატანა დაივიწყა, ხორვატი რობერტ პროსინეჩკი იმედს ვერ ამართლებს და კრუიფმა ეინდჰოვენში წასაყვანთა სიაში საერთოდ არ ჩართო, ისევე, როგორც თავისი ტრავმამოშუშებული ვაჟი.

პრობლემები ჰქონდა „ეინდჰოვენსაც". დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშა სტან ვალქსმა, ტრავმის გამო ერნესტ ფაბერმა, რონალდომ, ბუდევინ პალპლაცმა და იან ვაუტერსმა. საჭოჭმანო იყო არტურ ნუმანის საქმეც.

თამაში ფრიად ემოციური და მოვლენებით უხვი გამოდგა. ანგარიში მესამე წუთზე სტუმრებმა გახსნეს. ამორის ჩაწოდებული აუტი ხოსე მარია ბაკერომ თავით მასპინძელთა კარში გაგზავნა, რის შემდეგაც „ბარსა" დაცვაზე გადაერთო და კონტრშესატევად ჩასაფრდა. მართლაც, 22-ე წუთზე მათმა გეგმამ ნაყოფი გამოიღო. „ეინდჰოვენის" შეტევა ჩაიშალა და ბურთი ლუის ფიგუმ ჩაიგდო. მან ჰაჯისთან გაითამაშა და ზუსტად დაარტყა — 2:0. 41-ე წუთზე მასპინძელთა ცენტრალურმა მცველმა ფილიპ კოკუმ „ბარსელონას" საჯარიმოში დრიბლინგით გზა გაიკვალა და ბუდევინ ზენდენს გაატანინა. 58-ე წუთზე ნადალმა რენე ეიკელკამპი ძირს დასცა და მოედნიდან გააძევეს. საპასუხოდ ეიკელკამპმა 65-ზე ანგარიში გაათანაბრა.

— ჩვენ კლასიკური შეცდომა დავუშვით, სკოლის დონეზე რომ მოსდით ხოლმე — თქვა მატჩის შემდეგ „ეინდჰოვენის" მწვრთნელმა დიკ ადვოკაატმა — ნებისმიერ ეპიზოდში უკან ორი კაცი უნდა დაგვეტოვებინა.

მასპინძელთა თავქუდმოგლეჯილი შეტევა ბარსელონელებმაც შენიშნეს და... 79-ე წუთზე სერხიმ გაისროლა, მეკარემ უკუაგდო, მაგრამ სერხიმ ზუსტად დაამატა.

### რომა 3:1 სლავია

რომა: ჩერვონე, ანონი, ლანა, დი ბიაჯო, ალდაირი, კარბონი, მორიერო, ტოტი, ბალბო, ჯანინი, ფონსეკა (კაპიოლი 46)

სლავია: სტეისკალი, ლერჩი, სუხოპარეკი, ბეიბი, კოზელი, ნოვოტნი, სმიჩერი (ვაგნერი 87), პენიჩკა, პობორსკი, პისკი, კრისტოფიკი (ვავრა 68)

გოლი: მორიერო (60, 99), ჯანინი (82), ვავრა (112)

გაფრთხილება: პენიჩკა, კარბონი, ჯანინი, სუხოპარეკი, სტატუტო, სტეისკალი, ვაგნერი, მორიერო, ნოვოტნი

— გაგიგონიათ? მთელი თამაშის განმავლობაში უპირატესობა ჩვენი იყო, მაგრამ მაინც წავაგეთ. რაც შეგვეძლო, ყველაფერი ვიღონეთ. თავს ზევით ძალა არა არის — თქვა ორი გოლის ავტორმა ფრანჩესკო მორიერომ.

„რომამ" მოიგო. ეს მათი ზედიზედ მერვე საშინაო გამარჯვება იყო ევროთასებზე, მაგრამ ამ გამარჯვებამ ისინი შეჯიბრებიდან გამოთიშა. ორი კვირით ადრე, პრაღაში, იტალიელებს „სლავიამ" აჯობა — 2:0. სამშაბათს რომის ოლიმპიურ სტადიონზე კი მასპინძლებმა საქმე დამატებით დრომდე მიიყვანეს, შემდეგ მესამეც შეაგდეს და ცალი ფეხი ნახევარფინალშიც ჩაჰყვეს, მაგრამ მოედანზე მეორე ტაიმში შესულმა ვავრამ იტალიელთა იმედი გააცამტვერა. პირველ ტაიმში რომაელთა დაყინება ჩეხთა მეკარეს იან სტეისკალს აწყდებოდა. დანიელ ფონსეკამ, მართალია, გაიტანა, მაგრამ თამაშგარედან. ლუიჯი დი ბიაჯომ ძელს გაარტყა, მაგრამ ძელი ხომ გოლი არ არის. მეორეში ნავსი მორიერომ გატეხა: საჯარიმოს ხაზიდან დარტყმული ბადეში შეაგდო. 82-ზე ამედეო კარბონიმ ჯარიმიდან ჩააწოდა და 31 წლის ჯუზეპე ჯანინიმ, მთელი კარიერა „რომაში" რომ გაატარა, საქმე დამატებით დრომდე მიიყვანა. 99-ზე მორიერომ 63 ათასი ქომაგი სიხარულისგან მეცხრე ცას სწია, მაგრამ 112-ზე ვავრამ ჩაძინებულ ჩერვონეს დამღუპველი გოლი გაუტანა.

### ნოტინგემი 1:5 ბაიერნი

ნოტინგემ ფორესტი: კროსლი, ლიტლი (პაალანდი 73), პირსი, კუპერი, ჩეტლი, ფილიპსი, სტოუნი, ბარტ-უილიამსი (მაკგრეგორი 64), კემპბელი (ლი 64), ვონი, როი

ბაიერნი: კანი, ბაბელი, ციგე, შტრუნცი (ფრაი 60), ჰელმერი (კროიცერი 79), ჰერცოგი, შოლი, სფორცა (ნერლინგერი 45), კლინსმანი, მათეუსი, პაპენი

გოლი: ციგე (29), შტრუნცი (43), კლინსმანი (64, 79), პაპენი (72), სტოუნი (84)

გაფრთხილება: პაპენი

მიუნხენში „ბავარიამ", 1976 წლის შემდეგ ევროპული თასი რომ არ მოუპოვებია, „ნოტინგემ ფორესტს" 2:1 მოუგო. სამშაბათს ნოტინგემში, საპასუხო შეხვედრაში, ინგლისელებმა ნანატრი გოლი გაიტანეს (ირონია „დეილი ტელეგრაფს" დავესესხეთ), მაგრამ მანამდე ხუთი გაუშვეს და კონტინენტური შეჯიბრებები კუნძულელთა გარეშე დატოვეს.

„ბაიერნის" შემადგენლობაში, ოქტომბრის მერე პირველად, გამოჩნდა საფრანგეთის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი, ბოლოჟამს მივიწყებული ჟან-პიერ პაპენი. იგი ტრავმირებული ალექსანდერ ციკლერის ნაცვლად მოხვდა გერმანელთა შემადგენლობაში. „ნოტინგემის" რიგებში დაბრუნდა დისკვალიფიცირებული კოლინ კუპერი, რომელიც 29-ე წუთზე დაჯარიმდა კლინსმანის წინაღმდეგ და მასპინძელთა ბედვნაც დაიწყო. ჯარიმიდან მათეუსმა ციგეს დაუგორა — 1:0.

ტაიმის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე პაპენმა შტრუნცს გაუთამაშა. შტრუნცმა მარკ კროსლის შორეულ კუთხეში გაუტანა — 2:0.

64-ე წუთზე „ნოტინგემის" მწვრთნელმა ფრენკ კლარკმა ერთბაშად ორი ფეხბურთელი შეცვალა და... კლინსმანმა შოლის პასით ანგარიში სამამდე გაზარდა — 3:0.

72-ე წუთზე კლინსმანმა შტრუნცის ნაცვლად შესულ დიტერ ფრაის მიაწოდა, მან ჩააწოდა და პაპენმა თაურით შეაგდო.

79-ე წუთი რომ დადგა, ციგეს პასით კლინსმანმა უეფას თასის მიმდინარე გათამაშებაში მე-14 გაიტანა — 5:0.

84-ზე გაწბილებულმა ხალხმა, ტრიბუნებს რომ ტოვებდა, სტოუნის გოლს ზურგიდან ცალი თვალით შეხედა...

პაპუნა კედია


## საფეხბურთო ტოტალიზატორი
# ლაპლას-ტოტო

### ყურადღება!

იმის გამო, რომ იტალიის ჩემპიონატის გასული ტური ფეხბურთელთა გაფიცვის გამო არ ჩატარდა და მოსალოდნელია წინასწარ დადგენილი განრიგის შეცვლა, ამ შაბათ-კვირას (23-24 მარტს) 23-ე ტირაჟი არ გაიმართება. გაზეთ „7 დღეში" გამოქვეყნებული 23-ე ტირაჟის მატჩების სია ანულირებულია. 24-ე ტირაჟი ჩაითვლება 22-ის მომდევნო ტირაჟი.

### №22 ტირაჟის შედეგები

პირველი ოთხი ტირაჟი არ ჩატარდა. მოქმედი „თამაშის წესების" მე-10 პუნქტის (იხ. „საქმოსანი" №20—№5) თანახმად ამ მატჩების ანგარიშებად უნდა ჩაითვალოს 0-0.

1. 0-0 2. 0-0 3. 0-0 4. 0-0 5. 0-1 6. 1-0 7. 2-0

მოგებები: ხუთი მატჩი — 16 ლარი (38 ვარიანტი), ექვსი მატჩი — 115 ლარი (13 ვარიანტი). 300 ლარი გადადის შემდეგ ტირაჟში. შვიდი მატჩი — 3 000 ლარი (1 ვარიანტი). 635 ლარი გადადის შემდეგ ტირაჟში.

ბილეთები იყიდება მეტროს სადგურებთან (ში): დელისი, პოლიტექნიკური, მარჯანიშვილი, ახმეტელი, სამგორი. ბილეთების (2 ვარიანტი) ფასი 30 თეთრი.

მოგება გაიცემა მისამართზე: ხეთაგუროვის 2, მესამე სართ. ფირმა „ესკიზი" (11.00-დან 14.00 სთ-მდე). თან იქონიეთ პასპორტი.


## ინგლისი

### ნიუკასლი 3:0 ვესტ ჰემი

36 331 მაყურებელი

ნიუკასლი: სრნიჩეკი, ბარტონი (უოტსონი 56), ბერესფორდი, ბეტი, პაუი, ალბერი, ლი, ჟინოლა, ბერდსლი, ფერდინანი, ასპრილია

ვესტ ჰემი: სილი, პოტსი, დიკსი, რიპერი, ბილიჩი, როუნალდი, ბიშოპი (ბრიკერი 77), ვილიამსონი, პიუზი, დაუი, დუმიტრესკუ (დანი 77)

გოლი: ალბერი (21), ასპრილია (55), ფერდინანდი (65)

გაფრთხილება: პოტსი

გაძევება: პოტსი

### ასტონ ვილა 0:0 მიდლსბრო

23 933 მაყურებელი

ასტონ ვილა: ბოზნიჩი, მიურეი (ფერელი 86), სთონთონი, რაიტი, მაკგრათი, ჰენდრი, ბრაუნი, დრეიპერი, იოაპიმი (დევისი 83), იორკი, თაუნსენდი

მიდლსბრო: უოლში, კოქსი, ჟუნინიო (პიგნეტი 22), ფლემინგი, პირსონი, უაითი, ბარმბი, პიკოკი, ბრანკო (კავანაპი 46), ჰენდრი, მასთო

გაფრთხილება: ბრაუნი, პიკოკი, პიგნეტი

### საუთჰემპტონი 0:1 შეფილდი

13 216 მაყურებელი

საუთჰემპტონი: ბიზანტი, დოდი, ჩარლტონი, ჰოლი (რობინსონი 46), მეჯილტონი, მონკი, ლეტისიე, ვენისონი, შიპერლი (უორენი 82), ვოთსონი, უიდრინგტონი

შეფილდი: ვუდსი, პემბრიჯი, ნიკოლი, უოქერი, ნიუსამი, შერიდანი, ბრისკო, დეგრიზი, პირსტი (კოვაჩევიჩი 82), უიტინგემი, ბლინკერი (ჰაიდი 46)

გოლი: დეგრიზი (1)

გაფრთხილება: შერიდანი, უიტინგემი

### იუნაიტედი 1:0 არსენალი

50 028 მაყურებელი

მანჩესტერ იუნაიტედი: შმაიხელი, ბრუსი, შარპი, კანტონა, გიგზი, მეი, კინი, კოული (სქოულზი 59), ჯ. ნევილი, ფ. ნევილი, ბათი

არსენალი: სიმენი, დიქსონი, უინტერბერნი, პლატი, რაიტი, მერსონი (ჰელდერი 69), ბერხკამპი (ჰილიერი 49), ლაინიგენი, კიოუნი, პართსონი, მარშალი

გოლი: კანტონა (66)

გაფრთხილება: პართსონი

### ბოლტონი 2:3 ტოტენჰემი

17 829 მაყურებელი

ბოლტონი: დევისონი, გრინი (დე ფრეიტასი 78), ფილიპსი, კურჩიჩი, კოულმენი, ფეარკლაფი, სილარსი, ბერგსონი, სტაბსი, ბლეიკი (მაკგინლი 46), პაატელაინენი (თომპსონი 68)

ტოტენჰემი: უოქერი, ოსტინი, პაუელსი, კალდერვუდი (ედინბურგი 46), მაბათი, ფოქსი (სლეიდი 79), შერინგემი, არმსტრონგი, დოზელი, უილსონი, კემპბელი

გოლი: პაუელსი (17), ფოქსი (54), არმსტრონგი (60), სტაბსი (74), სილარსი (84)

გაფრთხილება: ფოქსი

ინგლისში ყოველდღე ფეხბურთია. არავინ იღლება. ფეხბურთელები, მსაჯები, გულშემატკივრები მზად არიან ყოველდღე ამა თუ იმ ქალაქის სტადიონზე შეიკრიბონ და იბურთაონ. თანაც ახლა, გაზაფხულზე, როდესაც ჩემპიონატის დამთავრება ახლოვდება და ტიტულისათვის თუ ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლა დღითიდღე მწვავდება.

„ნიუკასლმა" „ვესტ ჰემს" უმასპინძლა. მოედანზე გასვლისას კევინ კიგანის გუნდმა კარგად იცოდა, რომ თუ ჩემპიონობას აპირებს, დარჩენილ 10 თამაშში 25 ქულა უნდა მოიპოვოს, თორემ გამხეცებული „მანჩესტერ იუნაიტედი" ისე მოსდევს, როგორც მკვლელი მსხვერპლს. კიგანის ბიჭებმა ღირსეულად ითამაშეს. მათ სამ გოლს ლონდონელებმა ვერაფრით უპასუხეს, თანაც 32-ე წუთიდან ათნი ეწინაღმდეგებოდნენ. მოედნიდან სტივ პოტსი გააძევეს, რომელმაც 30 წამში ორი ყვითელი ბარათის მიღება მოახერხა. ამაში დამნაშავე „ნიუკასლის" ფრანგი თავდამსხმელი დავიდ ჟინოლა იყო. პოტსი მას თავიდან მაისურზე დაეკიდა, ნახევარ წუთში კი კვანტიც გამოსდო და თანაგუნდელები უმცირესობაში დასტოვა. „ვესტ ჰემი" იმ საღამოს მთავარი მეკარის ლუდო მიკლოშკოს გარეშე თამაშობდა. მიკლოშკომ უშუალოდ მატჩამდე იტკინა ფეხი და ამიტომაც კარში 38 წლის ლეს სილი ჩადგა, თუმცა ორი წელია „ვესტ ჰემშია", პირველად მოუხდა 90 წუთის განმავლობაში მოედანზე ყოფნა. ბოლოს, თავიდან ბოლომდე, 1994 წელს ითამაშა „ბლექპულის" შემადგენლობაში. ახლანდელ სეზონში კი ექვსი თვის წინ, „არსენალთან"... თავდამსხმელად ითამაშა. სილის შემცვლელად, სათადარიგოთა სკამზე, იმ დღეს, არც მეტი არც ნაკლები, პეტერ შილტონი იჯდა. ამგვარად, ლონდონელთა იმდღევანდელი მეკარეების საერთო ასაკი 84 წელი იყო.

მხცოვან მეკარეს ცუდად არ უთამაშია. რამდენჯერმე ნაღდი გოლისაგან იხსნა კარი, მაგრამ ალბერის, ასპრილიას და ფერდინანდის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო.

მიუხედავად გამარჯვებისა, „ნიუკასლი" [illegible] მოადგა [illegible] „მანჩესტერ იუნაიტედმა" „არსენალს" მოუგო. ფრანგი ფრანგის [illegible] [illegible] ნა, მანჩესტერელმა კანტონამ ზედიზედ მეოთხე მატჩში გაიტანა გადამწყვეტი გოლი. 66-ე წუთზე ფილ ნევილმა ჩააწოდა, ენდი ლიგენმა თავით გამოიტანა საჯარიმოდან ბურთი, რომელიც კანტონას მიმართულებით გაგორდა. მანძილი ასე, 23 მეტრი იყო, „იუნაიტედის" ვარსკვლავის დარტყმა კი შემზარავი — 1:0. თამაშში მეტი გოლი არ გასულა, თუმც შანსი უამრავი იყო. ხელსაყრელ მომენტებს ძირითადად მასპინძლები ვერ იყენებდნენ. ამ მხრივ თავი გამოიჩინა ენდი კოულმა. სტუმართაგან მერსონს და ბერხკამპს შეეძლოთ მდგომარეობის გადარჩენა, მაგრამ ვერ შეძლეს.

„ბოლტონმა" „ტოტენჰემს" უმასპინძლა. სამი წარმატებული სტუმრობის შემდეგ ბოლტონელებს უკიდურესად მძიმე მდგომარეობიდან თავის დახსნის იმედი ჩაესახათ, მაგრამ ლონდონის გუნდი არ შედრკა. სტუმრები 3:0-ს იგებდნენ, თუმცა ბოლოს ძლიერ გაუჭირდათ. სტაბსის და სილერსის გოლებს, სულ ბოლო წუთს გუნდი ბერგსონმა კინაღამ მესამეც მიაყოლა.

„საუთჰემპტონის" და „შეფილდ უენსდეის" ბრძოლა სტუმრებმა მოიგეს. „შეფილდი" ახლა უფრო თავისუფლად იგრძნობს თავს. მისი უსაფრთხოება მეტადაა დაცული. მასპინძლებისა კი რა მოგახსენოთ. შაბათს, გეხსომებათ, „მანჩესტერ სიტისთან" წააგეს, ახლა „შეფილდთან", ორშაბათს კი კვლავ უშუალო კონკურენტ „ქოვენთრისთან" უწევთ გაჯიბრება. ასე რომ, თუ კვლავ ვერ ივარგეს, საუთჰემპტონელებს შესაძლოა პრემიერლიგაში 18 წლიანი ყოფნა დაუსრულდეთ.

გოლის გატანას მხოლოდ 60 წამი დასჭირდა. ეს მარკ დეგრიზმა შეძლო, რომლისთვისაც იმ დღეს გატანილი, მეათე გოლი იყო სეზონში. „საუთჰემპტონს" შეფილდში „უენსდეისთან" 1970 წლის მერე არ მოუგია. ახლა, კრიტიკულ მომენტში შეძლო, თუმცა, გაუმართლა კიდეც, როდესაც დევიდ ჰირსტი კენ მონკოს გასცდა და ძელს გაარტყა.

მოკლედ, გუნდმა, რომელსაც მიმდინარე სეზონში, ოქტომბრის შემდეგ სტუმრად არ გაუმარჯვია, მნიშვნელოვანი სამი ქულა გამოგლიჯა მოცილეს.

„ასტონ ვილამ" და „მიდლსბრომ" ერთმანეთს გოლი ვერ გაუტანეს.

გაიმართა ფეხბურთის ასოციაციის თასის ორი მატჩიც. „ლიდსს", „ლივერპულს" რომ ვერ მოუგო შინ, ახლა სტუმრობა მოუხდა და 0:3 წააგო. ამ შეხვედრაში გაიბრწყინა ლივერპულელთა ვარსკვლავმა სტივ მაკმანამანმა. ორი გოლის ავტორმა, კიდევ რამდენიმე, თავისივე შექმნილი მომენტი გაუშვა ხელიდან. მისმა დრიბლინგმა სტუმართა დაცვა ხუხულასავით დაანგრია. 57-ე და 73-ე წუთებზე შეგდებულ გოლებს 83-ეზე დაამატა რობი ფაულერმა, რომელიც იმ დღეს მეტად აქტიური იყო. პირველ ტაიმში, სანამ 0:0 იყო, ფაულერი ლუკას რედიბიმ საჯარიმოში წააქცია, მაგრამ მსაჯმა პენალტის დანიშვნისაგან თავი შეიკავა.

ახლა, ნახევარფინალში „ლივერპულს" „ასტონ ვილა" შეხვდება, გუნდი, რომელიც კვირას, ინგლისელთა მეორე, ლიგის თასის ფინალში „უემბლიზე" „ლიდს" ეთამაშება.

მეორე ნახევარფინალში „ჩელსი" და „მანჩესტერ იუნაიტედი" შეიბმებიან. ეს ლონდონში, „უიმბლდონისა" და „ჩელსის" მატჩში გაირკვა. თამაშის დამთავრებას 11 წუთი რომ აკლდა, ფრე იყო, 1:1. საქმე დამატებით დროისკენ მიდიოდა, მაგრამ მაიკლ დაბერიმ სხვაუბნელი სტუმრები დააწინაურა, კიდევ ხუთ წუთში კი მარკ ჰიუზმა ერთიც შეაგდო და ხელებიც დაიბანა. თავიდან კი, მე-20 წუთზე, „ჩელსის" რუმინელმა პეტრესკუმ გახსნა ანგარიში. მან კრეიგ ბერლისგან მიიღო ბურთი და მახვილი კუთხით გაუტანა სალივანს. 39-ზე „უიმბლდონის" ეფენ ეკოკუმ ჩააწოდა მარჯვნიდან, ხოლო ჯონ გუდმენმა თაურით გაქვითა. შემდეგ რაც მოხდა, უკვე იცით.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუკასლი | 29 | 20 | 4 | 5 | 55:26 | 64 |
| მანჩესტერ იუნ | 31 | 19 | 7 | 5 | 59:31 | 64 |
| ლივერპული | 30 | 17 | 8 | 5 | 60:26 | 59 |
| ასტონ ვილა | 32 | 16 | 8 | 8 | 47:31 | 56 |
| არსენალი | 31 | 14 | 9 | 8 | 42:28 | 51 |
| ტოტენჰემი | 29 | 14 | 9 | 6 | 40:29 | 51 |
| ევერტონი | 31 | 13 | 9 | 9 | 48:34 | 48 |
| ბლექბერნი | 31 | 14 | 6 | 11 | 47:36 | 48 |
| ჩელსი | 31 | 11 | 11 | 9 | 36:34 | 44 |
| ნოტინგემი | 29 | 11 | 11 | 7 | 39:40 | 44 |
| ლიდსი | 28 | 11 | 6 | 11 | 35:41 | 39 |
| ვესტ ჰემი | 30 | 11 | 6 | 13 | 34:42 | 39 |
| მიდლსბრო | 32 | 9 | 9 | 14 | 29:42 | 36 |
| შეფილდი | 31 | 9 | 8 | 14 | 42:49 | 35 |
| მანჩესტერ სიტი | 31 | 7 | 9 | 15 | 24:45 | 30 |
| ქოვენთრი | 30 | 5 | 12 | 13 | 37:55 | 27 |
| უიმბლდონი | 30 | 6 | 9 | 15 | 42:61 | 27 |
| საუთჰემპტონი | 29 | 5 | 10 | 14 | 28:43 | 25 |
| ქუინზ პარკი | 31 | 6 | 5 | 20 | 27:49 | 23 |
| ბოლტონი | 31 | 6 | 4 | 21 | 33:61 | 22 |

# იონანიძე

## ტურის სიმბოლურ ნაკრებში

**რუსეთის ჩემპიონატის** მესამე ტური ქართველი ფეხბურთელების შესანიშნავი თამაშით აღინიშნა. იმის გარდა, რომ მათ ოთხი გოლი გაიტანეს, სამი ფეხბურთელი — ზურაბ იონანიძე, მამუკა მინაშვილი და ვასილ სეფაშვილი მატჩის საუკეთესო მოთამაშეებად აღიარეს, ზურაბ იონანიძე კი ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა.

**ლოკომოტივი — სპარტაკი 0:2**

ზ. ჯანაშია (ლოკომოტივი) შემოვიდა 66-ე წუთზე — 5,0

**ალანია — ტორპედო 4:1**

შელია (ალანია) — 6,0

ჯამარაული (ალანია) — 6,0

„მეორე გოლი მშვენიერი იყო. ჯარიმა ჯამარაულმა შეასრულა. მან ოდნავ გაჰკრა ფეხი ბურთს, კასიმოვმა გაუჩერა და ჯამარაულმა დატრიალებული ბურთი პირდაპირ შელიას დაასვა თავზე, შელიამ თავით იანოვსკის გადაუგდო, მან ასევე თავით აგაევს. აგაევს სხვა აღარ მოუძებნია და თავით კარში გაიტანა".

„მესამე და მეოთხე გოლს შორის სამი წუთი გავიდა. ჯამარაულმა მარცხნიდან მოაწოდა კუთხური, პაგაევი ყველაზე მაღლა ახტა, მაგრამ დამცველებმა მოასწრეს ბურთის გამოტანა ცარიელი კარიდან... მას დახვდა თედეევი და უძლიერესი დარტყმით ბურთი კარში შეაგდო".

„რამდენიმე სიტყვა ჯამარაულზე, რომელმაც ორ მატჩში ორი საგოლე პასი გაკეთა. მისი თამაში ორმაგ შთაბეჭდილებას ახდენს. ერთი მხრივ, გასაოცარი ტექნიკა — მისთვის ბურთის წართმევა პრაქტიკულად შეუძლებელია, ერთი ერთზე კი ნებისმიერს მოატყუებს. დრიბლინგში ჯამარაული იქნება საუკეთესო არა მარტო ვლადიკავკაზში, არამედ ერთერთი უძლიერესი რუსეთის მთელ ჩემპიონატში. მეორე მხრივ, ქართველი ნახევარმცველი ხშირად ზედმეტად ატარებს ბურთს და ბევრი სახიფათო შეტევა ამის გამო ვერ ხორციელდება. მაგრამ ერთი რამ ნათელია: ჯამარაული ის მოთამაშე არაა, ბურთი აქეთ-იქით ათრიოს და მისი თამაშის ეფექტურობა თანდათან გაიზრდება, როდესაც ის პარტნიორებს უფრო და უფრო შეეწყობა".

**ლადა — ტექსტილშჩიკი 1:1**

სეფაშვილი (ლადა) — 6,5

„ტექსტილშჩიკი გოლს მაინც ვერ გადაურჩა. მიროშნიჩენკომ ჩააგდო ბურთი საჯარიმოში, ორი მცველი ერთდროულად ახტა, მაგრამ ბურთი მათ უკან დამალულ ცბიერ სეფაშვილთან მოხვდა... მან თავის გოლით შეახსენა კამიშინელებს, რომ ფეხბურთი დაცვით არ მთავრდება".

„პრაქტიკულად ლადას არცერთი შეტევა არ განხორციელებულა უსეფაშვილოდ. იგი აღიარეს მატჩის საუკეთესო მოთამაშედ და ფასიანი პრიზიც გადასცეს".

**ჩერნომორეცი — კამაზი 4:1**

ჭედია (კამაზი) — 6,0

გაბისკირია (კამაზი) — გააფრთხილეს 49-ე წუთზე — 5,5

ჯიშკარიანი (კამაზი) — 5,0

„... ნოვოროსიისკელებს ქართველმა ჭედიამ და ექს-უკრაინელმა ალექსანენკომ უშველეს. ჭედიამ თავით დაუგდო მეკარე ზახარჩუკს, იგი ბურთს ასცდა და ალექსანენკომ გოლის გასატანად გამზადებული მასალიტინი წააქცია. პენალტი დოგუზოვმა შუაში დაარტყა, ზახარჩუკმა მოიგერია და ეპისკოპოსიანმა დაუმატა".

„ჩელნელებს კომბინაციური თამაშიც აქვთ, რომელიც ესთეტსაც დააკმაყოფილებს. აქ პირველ როლებზე ჭედია, გაბისკირია, ზუბკოვი და ევდოკიმოვია. პირველი, მშვენივრად აზღვევს პარტნიორებს დაცვაში და პასიც დროული და ზუსტი აქვს, გაბისკირიამ კი ნოვოროსიისკელებს ათქმევინა, — რა ბიჭი წაგვართვა კამაზმა!"

„მატჩის დასაწყისში გაბისკირიამ თანამემამულე ჯიშკარიანი გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე. შვიდი მეტრიდან უძლიერესი დარტყმა ძელს მოხვდა."

**ჟემჩუჟინა — როსტსელმაში 3:3**

დ. ჯანაშია (ჟემჩუჟინა) — 7,0

იონანიძე (ჟემჩუჟინა) — 7,5

დევაძე (როსტსელმაში) — 4,5

„მე-16 წუთზე იონანიძემ სახიფათოდ დაარტყა მაგრამ დევაძე ადგილზე დახვდა ბურთს."

„მე-19 წუთზე ჯანაშიამ კარგი დრიბლინგის შემდეგ ბრწყინვალედ მიაწოდა ბოგატირიოვს და მან თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან გოლი გაიტანა დევაძის კარში."

„... სანკომ ჩააწოდა თავის ცენტრალურ თავდამსხმელ იონანიძეს, მან ტექნიკურად დაფარა ბურთი კორპუსით, მოიშორა მცველი და ბურთი კარში შეაგორა. შვიდი წუთის შემდეგ მისი უძლიერესი დარტყმა ზედა ძელს მოხვდა."

„მატჩის ბოლოს კი... იონანიძემ თხუთმეტი მეტრი გაირბინა ბურთით და 28 მეტრიდან ძლიერად დაარტყა კარში. დევაძემ ხელები დაუხვედრა, მაგრამ დარტყმა ისეთი ძლიერი იყო, გოლს ვერ გადაარჩინა."

**როტორი — კრილია 1:1**

მინაშვილი (კრილია) — 6,5 56-ე წუთზე შეცვალა წიკლაურმა — 5,5. მე-20 წუთზე მინაშვილმა და 76-ე წუთზე წიკლაურმა მიიღეს გაფრთხილება.

„მე-14 წუთზე მინაშვილმა ოცდახუთი მეტრიდან დაახლოებით ინსაიდის ადგილიდან დაარტყა და ბურთი ცხრიანში მოათავსა."

„სპორტ-ექსპრესიდან"

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალანია | 3 | 3 | 0 | 0 | 8-1 | 9 |
| დინამო | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| ზენიტი | 3 | 2 | 1 | 0 | 3-1 | 7 |
| ჩერნომორეცი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-2 | 6 |
| ცსკა | 3 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 6 |
| როტორი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-1 | 5 |
| როსტსელმაში | 3 | 1 | 1 | 1 | 6-6 | 4 |
| ნოვგოროდი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| კრილია | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| ბალტიკა | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 4 |
| სპარტაკი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| ტექსტილშჩიკი | 3 | 0 | 2 | 1 | 1-2 | 2 |
| ლადა | 3 | 0 | 2 | 1 | 2-4 | 2 |
| ლოკომოტივი | 3 | 0 | 2 | 1 | 0-2 | 2 |
| ტორპედო | 3 | 0 | 2 | 1 | 2-5 | 2 |
| ჟემჩუჟინა | 2 | 0 | 1 | 1 | 4-6 | 1 |
| ურალმაში | 3 | 0 | 1 | 2 | 2-4 | 1 |
| კამაზი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-9 | 0 |



# სხვებივით კი არ უქმობენ!

ოთხშაბათს იტალიას გაემგზავრა საქართველოს ჭაბუკთა (19 წლამდე) ნაკრები, რომელიც კათოლიკური აღდგომის კვირაში ბრეშიაში იასპარეზებს „ფირას მსოფლიო ჩემპიონატზე".

ნაკრები, რომელსაც ბათუ კევლიშვილი, თამაზ მგელაძე და ნიაზ მამრიკიშვილი წვრთნიან, ითამაშებს მეორე, „ბ" ჯგუფში, სადაც სულ რვა გუნდია. შეჯიბრი ოლიმპიური სისტემით გაიმართება, ოღონდაც წაგებულები შინ კი არ მიდიან, არამედ ქვედა ადგილებისათვის ბოლომდე თამაშობენ.

ჩვენები წელს პირველად გამოდიან მეორე ჯგუფში, რადგანაც სამი წელი დასჭირდა მესამედან ამოსვლას. ამიტომაა, რომ ქართველთა [illegible] ჯგუფში დარჩენა [illegible] საკმარისია [illegible] მატჩიდან [illegible]ნდაც ერთის მოგება, რაც იმის გარანტია იქნება, რომ გუნდი არ დარჩება გამვარდნ VII-VIII ადგილებზე.

ქართველი ჭაბუკები 2, 4 და 6 აპრილს გამართავენ შესაბამისად მეოთხედფინალს, ნახევარფინალსა და ფინალს.

„ბ" ჯგუფი

| |
|---|
| პორტუგალია (1) |
| საქართველო (8) |
| პარაგვაი (5) |
| ჩეხეთი (4) |
| მაროკო (3) |
| ტუნისი (6) |
| უკრაინა (7) |
| პოლონეთი (2) |

# ლომუს გუნდი უძლეველი როდია!

**ეგონათ,** ოკლენდის „ლურჯებმა" სამხრეთი ოკლენდის საგრაფოებიდან მარტორქა გარემარბი ჯონა ლომუ რომ აიმატეს, მათი მომრევი აღარავინაა. ეს მითი გაქარწყლდა ამ ერთი კვირის წინ, როცა კანბერის გუნდმა, მეტსახელად „ბრამბიზი" რომ ჰქვია და ქართულად როგორ ითარგმნება, ვერაფრით გავარკვევია, ზელანდიელ ფავორიტებს პირველი „ზე-12"-ის პირველი მარცხი აგემა.



ჩაუქი ანდრე ჟუბერი — 30 ქულა!

თამაში იშვიათი სანახაობა იქნებოდა. ხუთი ერის პირველობა ხომ არააო და მეტოქეებმა ერთურთს ხუთ-ხუთი (!) ლელო გაუტანეს; ამასთან, ორჯერ ისახელა თავი იპოლიტუ ფენიკიტაუმ, მასპინძლებმა შესვენების შემდეგ რომ ჩაბეს თამაშში.

„ბრამბიზმა" იმით მოიგო, რომ მისმა დამრტყმელმა ადამ ფრენდმა ოკლენდის დამრტყმელ კარლოს სპენსერზე ორით მეტი საჯარიმო შეაგდო. რაკი ოკლენდმა ოდენ 6 ბურთით წააგო და სამზე მეტი ლელოც გაიტანა, მარცხის მიუხედავად მაინც ორი ქულით დასაჩუქრდა.

კანბერის გუნდი „ზე-პირველობის" ახალბედაა, თუმცა ვარსკვლავები არ აკლია. შეჯიბრების სტარტზე მან სამივე თამაში შინ გამართა და ყველაც მოიგო. „ბრამბიზის" ნაღდი ძალა ცხადად გამოჩნდება ზეგ, სიდნეის საბურთაო სტადიონზე, სადაც კანბერელები იქაური ახალი სამხრეთი უელსის „ვარათაზს" (ყვავილია!) ეთამაშებიან.

**სიდნეელებმა** წინა ორი ვიქენდი სამხრეთ აფრიკაში გაატარეს. მათ ჯერ ქეიფთაუნში 30:22 დაამარცხეს იქაური კონცხი, პრეტორიაში ჩრდ. ტრანსვაალთან სათამაშოდ კი დაიწუნეს მსოფლიოს პირველი მელელოვე დევიდ ქემფიზი. ამისდა მიუხედავად, თამაშის დასრულებას ორი წუთი რომ უკლდა, „ვარათაზი" მაინც 29:25 იგებდა (თუმც პირველი ტაიმი 12:16 წააგო). ამ დროს მასპინძელი „ლურჯი ხარების" შუამარბმა დანი ფანსხალკვიკმა შუა ხაზთან გაჭრა სტუმრების დაცვა, ბურთი გადაუგდო ქვეყნის ნაკრების 9 ნომერ იუსტ ფანდერვესტჰოიზენს, ამან კი მოკლე ფრთაზე გააქცუნა გარემარბი მაირინგი, რომელიც ზედ ლელოსთან შებოჭა სტუმართა კაპიტანმა და 8 ნომერმა თიმ გევინმა, მაგრამ წაქცეულმა აფრიკელმა ინერციის წყალობით მაინც გადააღწია ხაზს იქით.

მეტოქეებმა ორ-ორი ლელო გაიტანეს. მასპინძელმა ლანს შერელმა 6 საჯარიმო შეაგდო, სტუმარმა მეთიუ ბერქმა — 5 საჯარიმო და სამი ტურის შემდეგ 61 ქულით (3ლ, 8გ, 10ს) კიდეც ლიდერობს ბომბარდირთა შეჯიბრს.

**ავსტრალიის** მესამე გუნდი — ქვინზლენდის „წითლები", წინა ორი „ზე-ჩემპიონატის" გამარჯვებული რომაა და სულ ბობოლ-ბობოლა „ვოლაბებითაა" დაკომპლექტებული, სტარტზე ოთაგოსთან 40 ქულით წაგების შემდეგ თანდათან გონს მოდის. „წითლებმა" შინ, ბრისბენის „ბალიმორზე" ზედიზედ ორი ზელანდიური გუნდი — ვაიქათო და ქენთებრი გააგორეს; ვაიქათოს „ბელადებს" ბოლო ხუთ წუთამდე 26:3-საც კი უგებდნენ, მაგრამ მერე დაფლანგეს უპირატესობა. ამ ორ თამაშში „თანამედროვე ჟირაფმა", აყლაყუდა „ვოლაბმა" ჯონ ილზმა, 8 ნომრად რომ ათამაშებენ, 7 გარდასახვა და 8 საჯარიმო შეაგდო და ბომბარდირთა ცხრილში 40 ქულით მესამე ადგილზეა, ლიგის რაგბიდან დაბრუნებულმა ხვადაგმა გერიჭ მორგანმა კი ქენთებრის ორი ლელო გაუტანა.

**ზღვისრეთში** მეოთხე თამაშიც წააგეს ტრანსვაალის „ოქროს ლომებმა" და შინ ერთი კინკილა ქულით გაბრუნდნენ. ხვალ ისინი მასპინძლობენ ვაიქათოს „ბელადებს", რომლებსაც სასტიკი დღე აყარა სამხრეთი აფრიკის შარშანდელმა ჩემპიონმა ნატალმა — ლელოებით 7-3 დაამარცხა. ამ თამაშში ნაკრების გარემარბმა ჯეიმზ სმოლმა სამი ლელო გაიტანა, ნაკრებისავე მცველმა ანდრე ჟუბერმა კი 10 ნომერ ჰონიბალს ჩამოართვა დამრტყმელობა და 5-5 გარდასახვითა და საჯარიმოთი და კიდევ ერთი ლელოთი 30 ქულა მოიხვეჭა.

**სამი ტურის** შემდეგ ქულათა მაქსიმუმით (15) ლიდერობდნენ ოთაგოს „მთიელები", რომლებსაც ერთადერთი სუპერვარსკვლავი — მცველი ჯეფ ვილსონი ჰყავთ. ამ გუნდმა ქეიფთაუნში ერთბაშად რვა ლელო გაუტანა კონცხს, სამოელმა შუამარბმა ტოო ვაეგამ კი საწყის 25 წუთში სამჯერ ისახელა თავი.

გუშინწინ „მთიელებს" დიდი განსაცდელი ელოდათ — პრეტორიაში თამაშობდნენ. მართლაც, „ლურჯმა ხარებმა" დედა უტირეს სტუმრებს, ხუთი ლელო გაუტანეს და 30 ქულითაც დაანგრიეს, მასპინძელთა 10 ნომერმა ჯანი კრუგერმა [illegible] ლელოთი და გოლებით ერთბაშად 39 ქულა მოაგროვა, რაც პრეტორიის გუნდის რეკორდის გამეორება ყოფილა.

მასპინძლები პირველსავე წუთზე დაწინაურდნენ, როცა მაირინგმა თავისავე ნახევრიდან წაიღო ბურთი, იერიში კი ლელოთი დააგვირგვინა 8 ნომერმა ადრიაან რიხტერმა. სტუმრები მაინც ავგრად იდგნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც გარემარბ ოლიფიერს გარღვევის შემდეგ ფანდერვესტჰოიზენმა 56-ე წუთზე ლელო ვაუტანათ, გატყდნენ. გადასარევად ითამაშეს „ხარების" შუამარბებმა ანდრე სნაიმანმა და ფანსხალკვიკმა, რომლებმაც ბოლოს თითო ლელოც გაიტანეს.

**ზე-12-ის პირველობა**

10 მარტი
ქვინზლენდი 26:22 ვაიქათო

15 მარტი
კანბერა 40:34 ოკლენდი
ველინგთონი 32:16 ტრანსვაალი

16 მარტი
დას. კონცხი 25:52 ოთაგო
ჩრდ. ტრანსვაალი 32:29 ახ. სამხრ. უელსი

17 მარტი
ქვინზლენდი 52:16 ქენთებრი
ნატალი 63:25 ვაიქათო

20 მარტი
ჩრდ. ტრანსვაალი 59:29 ოთაგო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოთაგო (ზ) | 4 | 3 | 0 | 1 | 167:116 | 15 |
| კანბერა (ავ) | 3 | 3 | 0 | 0 | 88: 71 | 14 |
| ჩრდ. ტრანსვ (აფ) | 3 | 3 | 0 | 0 | 121: 66 | 13 |
| ოკლენდი (ზ) | 3 | 2 | 0 | 1 | 119: 86 | 12 |
| ახ. სამხ. უელ (ავ) | 3 | 2 | 0 | 1 | 91: 65 | 10 |
| ნატალი (აფ) | 3 | 2 | 0 | 1 | 99: 77 | 9 |
| ქვინზლენდი (ავ) | 3 | 2 | 0 | 1 | 95: 95 | 9 |
| ველინგთონი (ზ) | 3 | 1 | 0 | 2 | 88: 87 | 6 |
| ვაიქათო (ზ) | 3 | 1 | 0 | 2 | 74:115 | 5 |
| დას. კონცხი (აფ) | 3 | 0 | 0 | 3 | 69:110 | 1 |
| ტრანსვაალი (აფ) | 4 | 0 | 0 | 4 | 51:106 | 1 |
| ქენთებრი (ზ) | 3 | 0 | 0 | 3 | 60:128 | 1 |



# მთავარი მატჩი არ შედგა

**საქართველოს ჩემპიონატში** ბევრი გუნდია და მათი რაოდენობა შემცირეთო — არაერთხელ მიუმართავთ კალათბურთის ფედერაციისთვის. გუნდები ამ მოწოდებას თავისებურად გამოეხმაურნენ. პირველ ჯგუფში ვალების გადაუხდელობისა და უსახსრობის გამო ვეღარ გააგრძელა ასპარეზობა ჩემპიონატის მუდმივმა მონაწილემ თბილისის „მერანმა". ახლა კი, როცა ვერის ბაღში მეორე ჯგუფის გუნდების თამაშები დაიწყო, აღმოჩნდა, რომ ძველი ვალების გადაუხდელობისთვის მოიხსნა ქუთაისის „იმერეთიც". დებულების თანახმად ქუთაისელთა ჩატარებული მატჩების შედეგები, ისევე როგორც „მერანისა", გაუქმდა. არადა, დიდ და საფუძვლიან ანალიზს რომ არ შევუდგეთ და უბრალოდ რამდენიმე ქუთაისელი კალათბურთელი გავიხსენოთ (ოთარ და მიხეილ ქორქიები, ზურაბ საკანდელიძე, ნიკოლოზ დერიუგინი), მივხვდებით, რომ ეს მეტად გულსატკენი ფაქტია. მაშ ასე, გუნდების რაოდენობა ისევ გაწონასწორდა — ორივე ჯგუფში 5-5 გუნდია. თუ პირველ ჯგუფში აშკარა იყო „ვითას" უპირატესობა, მეორე ჯგუფში ყველა ინტერესით მოელოდა „დინამოსა" და „კაქტუსის" მატჩს, მაგრამ იგი არ შედგა... ტაბლოს უმოქმედობის გამო. აბა, სხვა გუნდები როგორ თამაშობენო? იკითხავთ თქვენ, მაგრამ სხვა თამაშებში იმდენად აშკარაა ერთი გუნდის უპირატესობა მეორეზე, რომ ქულების განსაკუთრებული თვლაც არ გჭირდება. „დინამოსა" და „კაქტუსის" მატჩი კი, როგორც სპეციალისტებმა აღნიშნეს, ასეთ ვითარებაში ძნელი ჩასატარებელია და იგი გაურკვეველი დროით გადაიდო. გადაიდო იმიტომაც, რომ მის შედეგს სატურნირო ცხრილისთვის მნიშვნელობა არ ექნება, იმდენად აშკარაა ამ ორი გუნდის უპირატესობა. არადა, სულ რამდენიმე წლის წინ კალათბურთი, მგონი, ერთადერთი სახეობა იყო ქართულ სპორტში, რომელსაც მაყურებელი ჰყავდა და ეს მატჩების დაძაბულობით აიხსნებოდა. ალბათ, არის საჭირო, რომ ძლიერი კალათბურთელები სხვადასხვა გუნდებში გადანაწილდნენ. ეს საინტერესოსაც გახდის ჩემპიონატს და მოთამაშეებიც უფრო მობილიზდებიან თამაშის კლასის ასამაღლებლად. ვთქვათ, ერთი გურასპაულია რუსთავის „ქიმიკოსში" და უკვე საკმარისია, რომ გუნდი ლამაზი კალათბურთისკენ ისწრაფოდეს, ახალგაზრდები კი მის გვერდით სიამოვნებას იღებენ თამაშისგან. წინააღმდეგ შემთხვევაში კი იქნება ასეთი ანგარიში 104:30, 100:68, 104:54 და სხვა და ალბათ, კურიოზიც, „მაკაბი" — „ინტერმა" „დინამოს" მეორე ტაიმში 7 (?) ქულა ჩაუგდო. კარგად არ ვიცი, მაგრამ ეს შეიძლება მსოფლიო კალათბურთის რეკორდი იყოს ტაიმში ყველაზე მცირე ქულის მოპოვებით ეროვნულ ჩემპიონატებში — მას შემდეგ, რაც ბურთის ფლობის დრო შეიზღუდა. მაინც იმედით დაველოდოთ „დიდ ტურს", რომელიც 30 მარტიდანაა დაგეგმილი, რა თქმა უნდა, თუ ყველაფერი რიგზე იქნა.

**კოტე მგალობლიშვილი**

ვერის ბაღი. საქართველოს კალათბურთელთა ჩემპიონატი

„ბ" ჯგუფი

18 მარტი

„კოლხა" — „კაქტუსი"

68:100 (28:52)

„კოლხა": ქვილითაია (10), კიკალიშვილი (3), ჯიგანია (17), კარტოზია (14), ბერია (2), აბულაძე (2), აქირთავა (4), კვარაცხელია (8), კვაჭაძე (6), ქარუმიძე (6), ვაშაკიძე

„კაქტუსი": ჩხეიძე (10), თორთლაძე (9), დავითულიანი (21), ოთიურიძე (14), ჩუბინიძე (12), აბულაძე (13), მაჭარაძე (9), აბრამიძე (10), ახალკაცი (2), მეჭურჭლიშვილი

„მაკაბი-ინტერი" — „დინამო"

30:104 (23:58)

„მაკაბი-ინტერი": ხუხაშვილი (4), ტალაბაძე (13), ანდღულაძე (9), ტაბატაძე, შველიძე (2), ჩაჩხიანი, კოპალეიშვილი (2)

19 მარტი

„ქიმიკოსი" — „მაკაბი-ინტერი"

83:71 (43:34)

„ქიმიკოსი": გურასპაული (16), კეჭაყმაძე (10), მიქიაშვილი (14), კიკვიძე (10), მ. ბერუაშვილი (16), აბზიანიძე (2), წიკლაური (6), ხაიაური (2), გ. ბერუაშვილი (4), მიროტაძე (3)

„მაკაბი-ინტერი": უძილაური (14), ტალაბაძე (7), ხუხაშვილი (23), ტაბატაძე (11), ანდღულაძე (10), მშველიძე (6), ჩაჩხიანი, კოპალეიშვილი, დავარაშვილი

„დინამო" — „კოლხა"

137:52 (67:26)

„დინამო": ჩერქეზიშვილი (2), ცხვედიანი (33), სხიერელი (20), ბეჟანიშვილი (21), კილაძე (17), მაისურაძე (8), ულენტი (12), გიგაშვილი (2), ცაგარეიშვილი (15)

„კოლხა": ქვილითაია (6), კიკალიშვილი (1), ჯიგანია (9), კარტოზია (15), ბერია (9), აქირთავა (3), კვაჭაძე (5), სიხარულიძე (4), ვაშაკიძე, კვარაცხელია, აბულაძე

20 მარტი

„კოლხა — „ქიმიკოსი"

57:104 (21:54)

„კოლხა": ქვილითაია, კვაჭაძე (3), კიკალიშვილი (6), ჯიგანია (11), ბერია (13), აბულაძე (2), კარტოზია (2), ქარუმიძე (9), კვარაცხელია, ვაშაკიძე, სიხარულიძე

„ქიმიკოსი": გურასპაული (9), წიკლაური (22), კეჭაყმაძე, კიკვიძე (2), მ. ბერუაშვილი (22), აბზიანიძე (10), მიროტაძე (6), გოგოლაძე (9), ხაიაური (9), მიქიაშვილი (9), გ. ბერუაშვილი (6)

პირველი ჯგუფის 14 მარტის მატჩი

„ვითა" — სდასუ 67:46

„ვითა": ვაშაკიძე (2), კობეშავიძე, ტურაშვილი (7), ბარამიძე (6), შენგელია (19), დადიანი (11), კოკოლიშვილი (20), ორმოცაძე (2), ბოისა (6), ნაცვლიშვილი (4)

სდასუ: ეგუტია, მუშკუდიანი (2), გიგაური (6), ქევხიშვილი (4), ძიძიგური (11), ნიკოლაძე (2), ჩხეიძე (12), გაბრიჩიძე (9)

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

| | | | |
|---|---|---|---|
| **გერმანიის ჩემპიონატი. 24-ე ტური** | | | |
| **22 მარტი** | | | |
| მიუნხენ 1860 — შალკე | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| კარლსრუე — ჰამბურგი | 1,8 | 2,6 | 2,8 |
| **23 მარტი** | | | |
| დორტმუნდი — აინტრახტი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ფრაიბურგი — კიოლნი | 1,4 | 2,7 | 4,7 |
| კაიზერსლაუტერნი — ვერდერი | 1,8 | 2,6 | 2,8 |
| ლევერკუზენი — ბაიერნი | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| ზანქტ პაული — ჰანზა | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| ურდინგენი — ფორტუნა | 1,7 | 2,8 | 2,9 |
| **24 მარტი** | | | |
| მიონხენგლადბახი — შტუტგარტი | 1,4 | 2,7 | 4,7 |
| **ინგლისის ჩემპიონატი. 32-ე ტური** | | | |
| **23-25 მარტი** | | | |
| არსენალი — ნიუკასლი | 1,9 | 2,6 | 2,6 |
| ბოლტონი — შეფილდი | 2,5 | 2,5 | 2,0 |
| ჩელსი — ქუინზ პარკი | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| ევერტონი — უიმბლდონი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| მანჩესტერ იუნაიტედი — ტოტენჰემი | 1,4 | 2,7 | 4,7 |
| ნოტინგემი — ლივერპული | 2,2 | 2,4 | 2,4 |
| საუთჰემპტონი — ქოვენთრი | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| ვესტ ჰემი — მანჩესტერ სიტი | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| **საფრანგეთის ჩემპიონატი. 32-ე ტური** | | | |
| **23 მარტი** | | | |
| ლიონი — ნანტი | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| რენი — ბორდო | 1,7 | 2,6 | 3,2 |
| მეცი — ლილი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| სტრასბური — ბასტია | 1,4 | 2,7 | 4,7 |
| ოსერი — პარი სენ-ჟერმენი | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| ლანსი — სენტ ეტიენი | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| მარტიგი — ნიცა | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| ლე ავრი — გინგამი | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| კანი — გენიონი | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| მონპელიე — მონაკო | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| **იტალიის ჩემპიონატი. 27-ე ტური** | | | |
| **24 მარტი** | | | |
| სამპდორია — ატალანტა | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| ტორინო — კალიარი | 1,4 | 2,7 | 4,7 |
| უდინეზე — ინტერი | 1,8 | 2,6 | 2,8 |
| ფიორენტინა — იუვენტუსი | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| კრემონეზე — ლაციო | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| ვიჩენცა — ნაპოლი | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| ბარი — პადოვა | 1,4 | 2,7 | 4,7 |
| მილანი — პარმა | 1,5 | 2,6 | 4,2 |
| რომა — პიაჩენცა | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| **ესპანეთის ჩემპიონატი. 32-ე ტური** | | | |
| **23-24 მარტი** | | | |
| ტენერიფე — ბეტისი | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| კომპოსტელა — ვალენსია | 1,7 | 2,6 | 3,2 |
| სალამანკა — ბარსელონა | 4,0 | 3,0 | 1,4 |
| ალბასეტე — ოვიედო | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| ხოსიედადი — რეალი | 2,2 | 2,4 | 2,4 |
| სანტანდერი — რაიო ვალეკანო | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| ატლეტიკო — სარაგოსა | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| ხიხონი — მერიდა | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| სევილია — ვალიადოლიდი | 1,35 | 3,0 | 4,4 |
| ესპანიოლი — დეპორტივო | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| სელტა — ატლეტიკი | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| **რუსეთის ჩემპიონატი. მეოთხე ტური** | | | |
| **24 მარტი** | | | |
| დინამო — ალანია | 1,7 | 2,8 | 2,9 |
| **თურქეთის ჩემპიონატი. 26-ე ტური** | | | |
| გალათასარაი — ფენერბაჰჩე | 3,4 | 3,0 | 1,5 |
| **ინგლისის ლიგის თასის ფინალი. უემბლი** | | | |
| **24 მარტი** | | | |
| ლიდსი — ასტონ ვილა | 2,5 | 2,5 | 2,0 |

ტურში გატანილი გოლების რაოდენობა
გერმანია. 24 და ნაკლები — 1,9; 26 და მეტი — 1,9
იტალია. 22 და ნაკლები — 1,9; 24 და მეტი — 1,9
ესპანეთი. 27 და ნაკლები — 1,9; 29 და მეტი — 1,9

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

## თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0). ფსონის მინიმალური თანხაა — 50 თეთრი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამოხვალთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და ლაციო — პარმა 3-0) არ შეიძლება, კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ, ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის ალება — თასის ალებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარიღზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში აღნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდეც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი წაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ველარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოთამაშე პასუხისმგებელია ქვითრის სწორად შევსებისთვის. თუ ქვითრის ორი ნაწილი განსხვავებულად არის შევსებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტოტალიზატორში ჩაბარებულ ნაწილს.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (50 თეთრი).

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს, შაბათს და კვირას 13-დან 16 საათამდე სასტუმრო „აჭარის" ფოიეში.

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | | 0-0 | | 2-0 | | 1-3 | 1-0 | 1-1 | 1-2 | 1-1 | | | 0-1 | 3-5 | 0-0 | 3-3 | 3-2 | | 1-3 | 4-2 | 4-0 | 2-0 |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 1-0 | | | 3-0 | | 0-0 | | 0-2 | | 3-1 | | 1-0 | 1-1 | 0-0 | 1-1 | 3-1 | 0-1 | 2-1 | 2-0 | 2-0 | 2-2 | |
| 3 | FC BARCELONA | 3-0 | 2-1 | | 4-1 | 1-0 | 1-0 | 1-1 | | 2-0 | 3-0 | 4-1 | 1-1 | 3-1 | [illegible] | 1-0 | 4-1 | [illegible] | [illegible] | 1-0 | [illegible] | [illegible] | 2-2 |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | | 0-0 | 0-0 | | | 2-1 | 1-0 | 0-2 | | 0-5 | 0-1 | 4-0 | 1-0 | 0-0 | 0-1 | | 1-1 | | 0-1 | 2-1 | 3-0 | 1-1 |
| 5 | SD COMPOSTELA | 3-1 | 2-1 | 2-1 | 2-1 | | 1-0 | 4-0 | | 1-0 | 3-3 | 4-1 | 2-0 | 3-2 | | 1-2 | 0-0 | | | | 1-3 | 1-1 | 1-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-0 | 2-3 | | 1-2 | | | 1-1 | 1-2 | | 0-0 | | 4-2 | 4-1 | 1-1 | 2-3 | 3-2 | 3-1 | | 1-3 | 4-2 | 1-0 | |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 5-0 | 0-1 | | | 2-0 | 1-0 | | 2-2 | | 3-0 | | 2-3 | 2-3 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 3-2 | 1-1 | 3-0 | 3-1 | | |
| 8 | ATLETICO DE MADRID | | 2-1 | 3-1 | 4-1 | 3-0 | 2-0 | 1-0 | | 0-0 | | 3-0 | 2-0 | | 4-1 | | | 0-1 | 3-1 | | 0-2 | 3-2 | 1-1 |
| 9 | RAYO VALLECANO | 2-0 | 1-0 | 1-1 | | 0-1 | 2-0 | 0-6 | | | 1-5 | 1-2 | 1-2 | | 2-0 | 1-2 | 1-4 | | 2-4 | 3-2 | | | 4-1 |
| 10 | REAL MADRID CF | 2-0 | | 1-1 | 1-2 | 2-1 | | | 1-0 | 1-2 | | 2-3 | | 2-2 | 3-2 | 4-2 | 5-0 | 4-1 | 2-0 | 0-0 | 4-1 | 1-0 | |
| 11 | REAL OVIEDO | 1-0 | 1-2 | 1-2 | 0-0 | 3-1 | 1-0 | 0-2 | | 2-0 | 1-2 | | 2-1 | 1-1 | | 0-1 | 2-2 | | 1-3 | 0-1 | | | 0-0 |
| 12 | RACING SANTANDER | 5-5 | 1-1 | | 1-1 | | 1-1 | 2-1 | 0-4 | | 2-0 | | | 0-0 | | 0-0 | 2-1 | 1-1 | | 0-3 | 0-0 | 2-1 | 2-0 |
| 13 | REAL ZARAGOZA | 3-1 | | 0-5 | | 1-0 | | | 0-1 | 1-1 | | 1-0 | 1-2 | | 1-2 | 1-2 | 1-1 | 0-1 | 0-2 | 4-1 | 5-3 | 0-0 | |
| 14 | REAL SOCIEDAD | | 0-1 | 1-1 | | 0-1 | 2-0 | 2-1 | 1-0 | 2-1 | | 1-1 | 2-1 | 3-1 | | | | 1-0 | 0-1 | | 1-0 | 3-1 | 1-2 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | | | 1-5 | 0-0 | 5-0 | | | 2-1 | 0-0 | 0-0 | 2-1 | | 3-1 | 3-1 | | 4-0 | 1-1 | 3-3 | 3-0 | 3-0 | 0-3 | 0-1 |
| 16 | SALAMANCA | | 2-2 | | 2-1 | | | 0-5 | 1-3 | 1-2 | 0-2 | 0-1 | | 0-1 | 3-3 | 2-1 | | 4-1 | 1-2 | 4-0 | 0-0 | 0-1 | 2-2 |
| 17 | SEVILLA FC | 1-1 | 0-3 | 1-0 | 1-1 | 0-1 | 2-0 | 0-0 | 0-0 | 1-0 | | 1-1 | 0-1 | | 2-1 | | | | 0-1 | | | 0-0 | 3-0 |
| 18 | CD TENERIFE | 1-3 | 1-4 | 1-1 | 3-2 | 1-1 | 3-0 | 1-1 | | 2-2 | 3-0 | 3-3 | 2-0 | 1-2 | | | | 4-2 | | | 1-0 | 1-0 | 1-0 |
| 19 | VALENCIA CF | | | 4-1 | 3-1 | 5-2 | | 2-1 | 0-1 | 3-0 | 4-3 | 3-1 | | 0-0 | 0-1 | 1-1 | | 1-0 | | | 1-0 | 3-0 | 4-1 |
| 20 | REAL VALLADOLID | 3-0 | | 0-2 | 2-2 | 0-0 | 1-0 | | 0-1 | 1-1 | | 2-2 | 3-1 | | 3-0 | | 1-0 | 3-3 | 3-0 | 2-5 | | 1-1 | 1-1 |
| 21 | RC CELTA VIGO | 2-2 | 4-2 | 1-0 | | 0-1 | 0-0 | 0-0 | 0-3 | 2-0 | | 1-0 | 0-0 | | 1-1 | | 2-1 | 4-0 | 2-2 | | | | 2-0 |
| 22 | MERIDA | 1-1 | 0-1 | 0-0 | | 0-2 | 1-0 | 0-2 | 0-1 | | 2-2 | | 3-1 | 1-1 | 1-2 | 1-1 | 0-0 | | 2-0 | 0-2 | | | |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | BAYER 04 LEVERKUSEN | | 2-1 | | 1-1 | 0-0 | 2-0 | 0-1 | | 0-1 | 2-0 | | | | | 1-1 | 0-0 | 0-0 | 2-2 |
| 2 | BAYER UERDINGEN | | | 1-6 | 0-2 | | 1-1 | | | 1-1 | 1-1 | 1-1 | | 1-1 | 2-0 | 2-5 | 1-1 | 3-4 | 3-0 |
| 3 | FC BAYERN MÜNCHEN | 1-0 | 2-0 | | | 1-2 | | 2-0 | | 3-2 | | 2-0 | 1-4 | | 4-2 | | 4-0 | 5-3 | 2-0 |
| 4 | BORUSSIA DORTMUND | | | 3-1 | | 2-1 | | | 3-0 | | 1-2 | 1-1 | 4-1 | 3-0 | 3-1 | 1-0 | | 6-3 | |
| 5 | BORUSSIA MÖNCHENGLADBACH | 0-0 | 2-1 | | 2-2 | | 4-1 | 1-0 | | 1-2 | 3-2 | | | | | 2-4 | 4-1 | | 1-0 |
| 6 | EINTRACHT FRANKFURT | 1-1 | 1-0 | 4-1 | 3-4 | | | 0-1 | 3-0 | | | 3-1 | 2-2 | 1-0 | 4-2 | 2-2 | | | |
| 7 | SC FREIBURG | | 1-1 | 3-1 | 0-1 | 0-0 | 2-0 | | | 0-3 | 2-1 | | | | | 0-2 | 1-2 | 2-1 | 0-1 |
| 8 | FORTUNA DUSSELDORF | 1-1 | 1-0 | 0-2 | | 3-2 | | 0-0 | | 2-2 | 2-2 | | 2-0 | 1-1 | | | 2-0 | 1-2 | 1-1 |
| 9 | HAMBURGER SV | | | 2-1 | 2-2 | | 5-1 | | 4-1 | | 1-1 | 1-0 | 0-0 | 0-0 | 2-2 | 1-0 | 1-1 | | 3-3 |
| 10 | HANSA ROSTOCK | 1-2 | | 0-0 | 3-2 | 2-3 | 1-1 | | 0-0 | | | 3-0 | | | | 2-0 | | 3-3 | |
| 11 | 1. FC KAISERSLAUTERN | 1-0 | | 2-3 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 1-2 | 2-0 | | | | 2-2 | 1-1 | 0-0 | 0-0 | | 1-1 | |
| 12 | KARLSRUHER SC | 1-4 | 2-0 | 2-6 | | 4-0 | 1-1 | 1-1 | 3-1 | | 0-2 | | | 1-0 | | | 0-1 | 1-2 | 1-1 |
| 13 | 1. FC KÖLN | 2-2 | 0-0 | 0-0 | | 0-2 | | 1-1 | 0-0 | 3-2 | 3-0 | | 0-1 | | 2-0 | | 0-1 | 2-2 | |
| 14 | TSV 1860 MÜNCHEN | 0-1 | | 0-2 | | 4-0 | 3-1 | 3-0 | 2-1 | | 1-1 | | 1-1 | 2-1 | | 2-0 | | 1-1 | 1-1 |
| 15 | ST. PAULI HAMBURG | | | 0-1 | 0-3 | 0-2 | | 1-1 | 2-1 | | | 1-2 | 1-1 | 3-3 | 4-2 | | | 1-3 | |
| 16 | FC SCHALKE 04 | | 1-1 | | 1-2 | | 2-0 | | 1-1 | 3-0 | 1-3 | 1-1 | 2-1 | 0-0 | 1-1 | 2-0 | | | 2-1 |
| 17 | VfB STUTTGART | 1-4 | 0-0 | | 0-5 | 5-0 | 3-2 | 3-1 | | 3-0 | | 2-0 | | | 2-3 | | 2-2 | | 1-1 |
| 18 | WERDER BREMEN | | 1-0 | | 2-2 | | 1-1 | 0-2 | 1-1 | 2-1 | 0-2 | 1-1 | 1-0 | 0-1 | 2-0 | 1-1 | | | |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ATALANTA | | | | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-1 | | 0-1 | 1-3 | | 1-1 | 2-0 | 2-1 | 3-2 | | 0-0 | 3-1 |
| 2 | BARI | 1-3 | | 3-0 | | 1-1 | 4-1 | | 3-3 | 1-0 | 1-1 | | 1-1 | 0-0 | | 1-3 | 2-2 | | 0-2 |
| 3 | CAGLIARI | 2-0 | 4-2 | | 1-0 | 0-0 | | 0-0 | 0-1 | | 2-0 | 0-1 | | | 0-2 | 3-0 | 1-0 | 4-1 | |
| 4 | CREMONESE | 1-1 | 7-1 | 3-1 | | 0-0 | | 3-3 | | 0-0 | 1-1 | 2-1 | 0-2 | | 0-1 | 0-0 | 1-1 | 2-2 | |
| 5 | FIORENTINA | | 3-2 | 3-1 | 3-2 | | 1-1 | | 2-0 | 2-2 | 3-0 | | 1-0 | 2-1 | | 2-2 | 2-0 | 3-0 | 1-1 |
| 6 | INTER | 1-0 | | 4-0 | 2-0 | | | | 0-0 | 1-1 | 4-0 | | 1-1 | 0-0 | 2-0 | | 4-0 | 2-1 | 1-0 |
| 7 | JUVENTUS | | 1-1 | 4-1 | 4-1 | 1-0 | 1-0 | | 4-2 | 1-1 | 1-1 | 3-1 | | 2-0 | 0-2 | | 5-0 | | 1-0 |
| 8 | LAZIO | 5-1 | 4-3 | 4-0 | 2-1 | | 0-1 | 4-0 | | 0-1 | | 2-0 | | 4-1 | 1-0 | 6-3 | 1-1 | 2-2 | |
| 9 | MILAN | 3-0 | 3-2 | 3-2 | | | 0-1 | 2-1 | | | 0-0 | 1-0 | | 3-0 | 3-1 | 3-0 | 1-1 | 2-1 | 4-0 |
| 10 | NAPOLI | 2-0 | 1-0 | | 0-0 | 0-2 | 2-1 | 0-1 | 1-0 | | | 2-0 | 1-1 | 0-0 | 0-2 | | | | 1-1 |
| 11 | PADOVA | 3-2 | 3-0 | | | 0-1 | 2-1 | 0-5 | 1-3 | 1-2 | 4-2 | | 1-3 | 1-1 | | 1-1 | 1-1 | | 3-2 |
| 12 | PARMA | 2-0 | | 4-0 | | 3-0 | 2-1 | 1-1 | 2-1 | 0-0 | | 2-1 | | 3-2 | 1-1 | 1-0 | | 1-0 | 0-1 |
| 13 | PIACENZA | 2-2 | 3-2 | 1-1 | 2-1 | | 1-0 | 0-4 | 2-1 | | 0-1 | | 2-1 | | 1-0 | 3-2 | | 0-2 | |
| 14 | ROMA | 0-1 | 2-1 | 1-1 | 3-0 | 2-2 | | | 0-0 | 1-2 | | 2-0 | 1-1 | | | 3-1 | 1-0 | | 1-1 |
| 15 | SAMPDORIA | | | 1-2 | 2-0 | 2-1 | 0-0 | 2-0 | | | 2-2 | 3-1 | 3-0 | 3-0 | 1-1 | | 1-0 | 1-0 | 2-2 |
| 16 | TORINO | 0-1 | 3-1 | | | 0-3 | 0-1 | | | | 0-0 | 2-0 | 2-2 | 4-2 | 2-2 | 1-1 | | 2-0 | 1-0 |
| 17 | UDINESE | 3-0 | 1-2 | 1-0 | 3-2 | | | 1-0 | 1-1 | 0-2 | 3-2 | 3-1 | 0-0 | | 1-1 | | 1-0 | | 1-1 |
| 18 | VICENZA | | 2-0 | 0-1 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 2-1 | 1-0 | 1-1 | | 2-1 | | 1-1 | | | 2-1 | 0-1 | |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FC ARSENAL | | 2-0 | 0-0 | | 1-1 | 1-1 | 1-2 | | | 3-1 | 1-0 | 1-1 | | 1-1 | 3-0 | 4-2 | 4-2 | | 1-0 | 1-3 |
| 2 | ASTON VILLA | 1-1 | | 2-0 | 1-0 | 0-1 | 4-1 | 1-0 | 3-0 | 0-2 | | 3-1 | 0-0 | 1-1 | 1-1 | 4-2 | 3-2 | | 2-1 | | 2-0 |
| 3 | BLACKBURN ROVERS | | 1-1 | | 3-1 | 3-0 | 5-1 | | 1-0 | 2-3 | 2-0 | 1-2 | 1-0 | | 7-0 | 1-0 | 3-0 | 2-1 | 2-1 | 4-2 | |
| 4 | BOLTON WONDERERS | 1-0 | 0-2 | 2-1 | | | 1-2 | 1-1 | 0-2 | 0-1 | | 0-6 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-1 | | | | 0-3 | 1-0 |
| 5 | FC CHELSEA | 1-0 | | | 3-2 | | 2-2 | 0-0 | | 2-2 | 1-1 | 1-4 | 5-0 | 1-0 | 1-0 | | 0-0 | 3-0 | 0-0 | 1-2 | 1-2 |
| 6 | COVENTRY CITY | 0-0 | 0-3 | 5-0 | 0-2 | 1-0 | | 2-1 | | | 2-1 | 0-4 | 0-0 | 0-1 | 1-1 | | 0-1 | 1-1 | 2-3 | 2-2 | 3-3 |
| 7 | FC EVERTON | 0-2 | | 1-0 | | 1-1 | 2-2 | | 2-0 | | 2-0 | 2-3 | 4-0 | 1-3 | 3-0 | 2-0 | 2-2 | 2-0 | 1-1 | 3-0 | |
| 8 | LEEDS UNITED | 0-3 | 2-0 | 0-0 | 0-1 | 1-0 | 3-1 | 2-2 | | 1-0 | 0-1 | 3-1 | | | | 1-3 | 2-0 | | | 2-0 | 1-1 |
| 9 | FC LIVERPOOL | 3-1 | 3-0 | 3-0 | 5-2 | 2-0 | 0-0 | 1-2 | 5-0 | | 6-0 | 2-0 | | | 4-2 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 0-0 | | 2-2 |
| 10 | MANCHESTER CITY | 0-1 | 1-0 | 1-1 | 1-0 | 0-1 | 1-1 | 0-2 | 0-0 | | | | 0-1 | 3-3 | 1-1 | 2-0 | | 2-1 | 1-1 | 2-1 | 1-0 |
| 11 | MANCHESTER UNITED | | 1-1 | 1-0 | 3-0 | 1-1 | | | | 2-2 | 1-0 | | 2-0 | 2-0 | | 2-1 | 2-2 | 4-1 | | 2-1 | 3-1 |
| 12 | MIDDLESBROUGH | 2-3 | 0-2 | 2-0 | 1-4 | 2-0 | 2-1 | 0-2 | 1-1 | 2-1 | 4-1 | | | 1-2 | 1-1 | 1-0 | | 0-0 | 0-1 | 4-2 | |
| 13 | NEWCASTLE UNITED | 2-0 | | 1-0 | 2-1 | 2-0 | 3-0 | 1-0 | 2-1 | 2-1 | 3-1 | 0-1 | 1-0 | | 3-1 | | 2-0 | | | 3-0 | 6-1 |
| 14 | NOTTINGHAM FOREST | 0-1 | 1-1 | | 3-2 | 0-0 | | 3-2 | 2-1 | | 3-0 | 1-1 | 1-0 | | | | 1-0 | 1-0 | | 1-1 | 4-1 |
| 15 | QUEEN'S PARK RANGERS | 1-1 | 1-0 | 0-1 | 2-1 | 1-2 | 1-1 | | 1-2 | 1-2 | 1-0 | 1-1 | 1-1 | 2-3 | 1-1 | | 0-3 | | 2-3 | | 0-3 |
| 16 | SHEFFIELD WEDNESDAY | | 2-0 | 2-1 | 4-2 | | 4-3 | | 6-2 | 1-1 | 1-1 | 0-0 | 0-1 | 0-2 | 1-3 | 1-3 | | 2-2 | 1-3 | 0-1 | 2-1 |
| 17 | FC SOUTHAMPTON | 0-0 | 0-1 | | 1-0 | 2-3 | | 2-2 | 1-1 | 1-3 | 1-1 | | 2-1 | 1-0 | 3-4 | 2-0 | | | 0-0 | 0-0 | |
| 18 | TOTTENHAM HOTSPUR | 2-1 | 0-1 | 2-3 | 2-2 | | | 0-0 | 2-1 | 1-3 | 1-0 | 4-1 | | 1-1 | 0-1 | 1-0 | 1-0 | 1-0 | | 0-1 | 3-1 |
| 19 | WEST HAM UNITED | 0-1 | 1-4 | 1-1 | | 1-3 | 3-2 | 2-1 | 1-2 | 0-0 | | 0-1 | 2-0 | | 1-0 | 1-0 | | 2-1 | 1-1 | | |
| 20 | FC WIMBLEDON | 0-3 | 3-3 | 1-1 | 3-2 | 1-1 | | 2-3 | 2-4 | 1-0 | | 2-4 | 0-0 | 3-3 | | 2-1 | 2-2 | 1-2 | 0-1 | 0-1 | |

საჰაერო ბურთზე მოგახსენებთ, უამრავჯერ რომ აფრინდა, მაგრამ ძირსდაუშვებლად დედამიწას დღემდე მაინც ვერ შემოუფრინა. ასეთი მოგზაურობის დაწყება ამ ზამთარს სცადა ნიდერლანდების სამოქალაქო ავიაციის 51 წლის პილოტმა ჰენკ ბრინკმა, მაგრამ მანამ ამაზე მოგიასხრობდეთ, თვალი გადავავლოთ საჰაერო ბურთებით ფრენის მეტად მიმზიდველ, რომანტიულ და, ხშირ შემთხვევაში ტრაგიკულ ისტორიას, რომელსაც ქართველი მკითხველი არ იცნობს, ან თითქმის არ იცნობს. არ იცნობს იმ „უბრალო" მიზეზის გამო, რომ საჰაერო ბურთით ფრენა საქართველოში პოპულარული არა რის, ან როგორ იქნება, როცა იგი ჩვენს ქვეყანაში თვალითაც არავის უნახავს და ეს საქმე თავის პიონერს ელის. და თუ ვინმეს საჰაერო ბურთი უნახავს, ისიც მხოლოდ მხატვრულ თუ დოკუმენტურ ფილმებში, ან უცხოეთში ყოფნისას. საჰაერო ბურთები პირველად ჩვენც უცხოეთში ვნახეთ, ინგლისის ქალაქ ბათში. მაშინ ეს ქალაქი ევროპის ახალგაზრდობის III სპორტულ თამაშებს მასპინძლობდა.შარშან მის საზეიმო გახსნაზე ცაში მრავალი ჭრელა-ჭრელა, უშველებული ბურთი აიჭრა მერე თანდათან დაპატარავდა, წერტილად იქცა და ბოლოს სულაც გაქრა.

მანამდე მთელს ბათში მიმოფანტული სპორტული ბაზების დათვალიერება ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტმა, დოქტორმა ჟაკ როგმა ორიგინალურად სწორედ საჰაერო ბურთით ისურვა და ისიც რიჩარდ პალმერთან, ნაილ ტოვნშანთან და სიმონ გლეგთან ერთად ჰაერში აიჭრა. აიჭრა და მასთან შეხვედრისას იმანაც დაგვაინტერესა, თუ როგორი იყო საჰაერო ბურთით პატარა გასეირნების მერე მისი შთაბეჭდილებები.

— ბათის თავზე საჰაერო ბურთით ფრენა ძალიან ლამაზი და სიმშვიდის მომგვრელი იყო. შეგიძლია დედამიწას ზეციდან შეხედო და ეს გარკვეული სიმშვიდის და ფანტაზიის შეგრძნებას გაძლევს. ამ დროს ყველაზე კარგად გრძნობ, ამ დიდ სამყაროში რა პატარა არსებები ვართ. და ეს ფარდობითობის გრძნობას გიქმნის, — გვითხრა ჟაკ როგმა.

ჩიტივით ლაღად ფრენაზე უხსოვარი დროიდან ოცნებობდა ადამიანი. გამომგონებლები ცდილობდნენ საფრენი აპარატი შეექმნათ. ჩვენამდე მოაღწია გენიალური ლეონარდო და ვინჩის საფრენი აპარატის ჩანახატმაც, მაგრამ გადიოდა წლები, საუკუნეები, ოცნება კი ოცნებადვე რჩებოდა.

და აი, დადგა ნანატრი დღე — 1783 წლის 21 ნოემბერი.

იმ დღეს ფრანგები — მარკიზი პილატრ დე როზია და დარლანდი ძმები მონგოლფიეების საჰაერო ბურთით აიჭრნენ ცაში. ამ ისტორიულმა შოვლენამ მთელი ევროპა ალაფრთოვანა და აალაპარაკა. გაზეთები ამასთან დაკავშირებით უმნიშვნელო ამბებსაც კი დაწვრილებით აღწერდნენ. მხატვრებმა ამ ღირსახსოვარ მოვლენას ტილოები მიუძღვნეს. საერთო აღფრთოვანებას დიდი გოეთეც შეერთებია. პირველ გაფრენას მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამეც...

ზოგჯერ ფრენა ტრადიკულადაც მთავრდებოდა, მაგრამ ადამიანს რა შეაჩერებდა — იგი ცდილობდა რაც შეიძლება მაღლა აჭრილიყო ცაში, რაც შეიძლება შორს გაფრენილიყო და სწრაფად ენავარდა. ამიტომაც მისმა მოუსვენარმა გონებამ საჰაერო ბურთის მერე გამოიგონა პლანერი, მონოპლანი, თვითმფრინავი, კოსმოსური ხომალდი, მაგრამ ცაში ჯერ ძრავიანი საფრენი აპარატი აჭრილი არ იყო, როცა შვედი ინჟინერი სოლომონ ანდრე დაბეჯითებით ირწმუნებოდა: „ჩვენ ვიფრენთ, როგორც არწივები, და ვერაფერი დაგვიმსხვრევს ფრთებს". ანდრეს ფრთები არ ჰქონდა. ჰქონდა მხოლოდ საჰაერო ბურთი, რომლითაც 1897 წელს ჩრდილოეთ პოლუსის დაპყრობა განიზრახა.

შვედმა ინჟინერმა მშვენივრად იცოდა, რომ საჰაერო ბურთი იმ მიმართულებით იფრენდა, საითაც ქარი წაიღებდა და ქარის სისწრაფითვე იმოძრავებდა. რა თქმა უნდა, ანდრეს ამის იმედი არც ჰქონია, რომ ქარი თავისით დასვამდა პოლუსზე. ამიტომ საჰაერო ბურთს, რომელსაც „არწივი" უწოდა, მან აფრები გაუკეთა. იალქნს თავის დანიშნულება რომ შეესრულებინა, ბურთის სისწრაფე ქარისაზე ნაკლები უნდა ყოფილიყო. ამიტომ ანდრემ ბურთი ხელოვნური მუხრუჭებით — თოკებით აღჭურვა. იმავე თოკებს, რომელთა საერთო სიგრძე 1 000 მეტრს აღწევდა, ხოლო წონა — 850 კილოგრამს, სიმაღლის მარეგულირებელი ფუნქციაც ეკისრებოდა.

სოლომონ ანდრე ინჟინერი იყო, ფიზიკის პროფესორი. სტოკჰოლმის პატენტების ბიუროს ხელმძღვანელმა თავისი გამოგონება — საჰაერო ბურთის აფრები — რეგისტრაციაში გაატარა თუ არა, არავინ იცის. იგი გამოცდილი აერონავტიც გახლდათ. ერთხელ თავისი საჰაერორ ბურთით 4 387 მეტრ სიმაღლეზე აიჭრა, სხვა დროს კი 400 კილომეტრი იმ დროისთვის წარმოუდგენლად სწრაფად, საათში 107 კილომეტრი სიჩქარით დაფარა.

ასე იყო თუ ისე, 1897 წლის 11 ივლისს სოლომონ ანდრემ თავის მეგობრებთან ნილს სტრინდბერგთან და კნუტ ფრენკლენთან ერთად ჩრდილოეთ პოლუსისკენ აიღო გეზი. ძლიერი სამხრეთის ქარი ქროდა. „არწივი" ნელი რხევით აცურდა ცაში. დაახლოებით 50 მეტრს რომ მიაღწია, როგორც ჩანს, ქარმა ზემოდან მძლავრად დაუბერა და ბურთიც ფრთამოტეხილი ფრინველივით დაეშვა ძირს. გონდოლა წყალში ჩავარდა. აერონავტებმა ბალასტით სავსე ტომრების გადმოყრა დაიწყეს და „არწივმაც" მკვეთრად აიღო სიმაღლე.

სწორად ამ დროს ერთ-ერთმა გამცილებელმა აღმოაჩინა, რომ აერონავტებს თოკების ორი მესამედი ნაპირზე დარჩენოდათ. ანდრეს შეეძლო დაშვებულიყო, მაგრამ ვინც მას იცნობდა, იცოდა, რომ შვედ პროფესორს ვერაფერი შეაჩერებდა.

ასე გადაიშალა ჩრდილოეთის ოკეანეს თავზე ფრენის ისტორიის პირველი ფურცელი.

გადიოდა დღეები, წლები, მამაცი აერონავტებისაგან კი არაფერი ისმოდა. ანდრეს მიერ გაშვებული საფოსტო მტრედებიდან მხოლოდ მესამემ შესძლო „ამბის მიტანა" ამის შემდეგ გავიდა 33 წელი. ნორვეგიის ხომალდ „ბრატვოგის" ეკიპაჟმა ანდრეს უკანასკნელი ბანაკი აღმოაჩინა. „არწივს" მეთხუთმეტე ღამეს გადატანილი დიდი თავგადასავლების მერე შეუწყვეტია ფრენა. ეს მომხდარა შპიცბერგერიდან დაახლოებით 300, ხოლო ფრანც-იოსების მიწიდან — 350 კილომეტრის მოშორებით, როგორც ჩანს, ბურთის აფრენა ვეღარ მოუხერხებიათ, რადგან ისიც გაყინულა, თოკებიცა და გონდოლაც. „არწივი" დამძიმებულა და აერონავტები მოდრეიფე ყინულებზე დარჩენილან... ანდრესა და ფრენკელის გვამებს კარავში მიაგნეს, ხოლო სტრინდბერგი ბანაკიდან 30 მეტრის მოშორებით ნაზეს დაკრძალული. ვარაუდობენ, რომ სტინდბერგი უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა, ანდრე და ფრენკელი კი კარავში გაზით მოიწამლნენ.

მათი ამ საბედისწერო გაფრენიდან ხუთი წლის მერე, მანამ ძმები რაიტები პლანერზე პირველები დაამონტაჟებდნენ ძრავას და მისი დახმარებით პირველებივე აიჭრებოდნენ ცაში, საჰაერო ბურთით წარმოუდგენილ სიმაღლეს მიაღწიეს. 1901 წელს გერმანელი მეცნიერი და სპორტსმენი მიუნინგი და ბერსონი 10 800 მეტრ სიმაღლეზე აიჭრნენ. 1927 წელს ეს რეკორდი გააუმჯობესა ინგლისელმა კაპიტანმა ჰოთვორი გრეიმ — მისი ღია გონდოლა 12 000 მეტრ სიმაღლეზე ავიდა. სამწუხაროდ ადამიანის ორგანიზმმა ასეთ დატვირთვას ვერ გაუძლო — გრეი დაიღუპა.

კიდევ მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა საჰაერო ბურთებით ფრენამ.

ავიაციის პროგრესს თითქოს ისტორიის კუთვნილებად უნდა ექცია საჰაერო ბურთები და სხვა მისთანანი, მაგრამ ადამიანი წარსულს მიუბრუნდა და ხელახლა იგონებს მათ, რადგან უძრავო ფრენისკენ, თავისუფალი ფრენისკენ ისწრაფვის.

საჰაერო ბურთების ხელახალი აღორძინება 50-იან წლებში დაიწყო. 1957 წელს ამერიკელი მაიორი დევიდ სიმპსონი საჰაერო ბურთით სტრატოსფეროში აფრინდა. 30 ათასი მეტრი! ეს შედეგი ყოველგვარ სპორტულ შედეგს აჭარბებდა.

რაკი აერონავტიკის საერთაშორისო ფედერაცია (მაფ-ი) ყურადღებას ოთხ ძირითად რეკორდზე ამახვილებს: სიმაღლის, სიჩქარის, სიშორისა და ფრენის ხანგრძლივობის რეკორდებზე, ამ საქმეს წახალისება სჭირდებოდა. ამიტომ გაზეთმა „დეილი მეილიმ", ორიგინალურ სიახლეთა თაოსანმა და დამფინანსებელმა, არც საჰ აერო ბურთები დაივიწყა. მისი თაოსნობით ჩატარდა შეჯიბრება ოკეანის გადალახვაში. 1958 წლის 13 დეკემბერს კანარის კუნძულებიდან ცაში აიჭრა საჰაერო ბურთები. მათ პასატური ქარების დახმარებით გეზი სამხრეთ ამერიკისკენ აიღეს. სამი დღის შემდეგ ბურთები წყალში ჩაცვივდა. მგზავრები მხოლოდ 18 დღის შემდეგ ამოიყვანეს.

მრავალი ცდის მერე ამერიკელებმა ბენ აბრეცომ, მაქს ანდერსონმა და ლერი ნიუმენმა თავიანთი „ორთავა არწივით" ატლანტის ოკეანე გადალახეს. მათ 1978 წლის 12 აგვისტოს კუნძულ პრესკზე აიღეს სტარტი და 5 დღე-ღამის, 17 საათისა და 3 წუთის მერე პარიზიდან 90 კილომეტრის მოშორებით დაეშვნენ.

ახლა საჰაერო ბურთებით სულ უფრო ხშირად ეწყობა შეჯიბრებები. ერთნი უდაბნოების თუ აფრიკის ჯუნგლების თავზე მოგზაურობენ, მეორენი მთაში ფრენას ამჯობინებენ, მესამენი კი მზესთან შესახვედრად მიისწრაფვიან.

ყველა ეს მოგზაურობა მეტ-ნაკლებად სახიფათოა, მაგრამ ყველაზე რისკიანი აღმოჩნდა სიდნეის ტურისტული ფირმა „ედვენჩერ ტრეველის" დირექტორი, პროფესიონალი საჰაერო ნაოსნის ქრის დიუპერსტონის ექსპედიცია. ექსპედიციაში მის გარდა იყვნენ ავსტრალიის ავიაკომპანიის პილოტი ადენ იუკსი, საჰაერო ბურთებით ნაოსნობით ცნობილი ბრაიან სმიტი და ფილ კადანგი, აგრეთვე დიდ სიმაღლეებზე კინოგადაღების სპეციალისტი, ინგლისელი ლეო დიკენსონი და ამერიკელი სამთომოთხილამურე ქალი ჯეინ რეინოლდსი. მათ ნეპალის მხრიდან ჰიმალაის ბუმბერაზების გასწვრივ ფრენა განიზრახეს, რაც, რაღა თქმა უნდა, მრავალი შვიდი და ექვსიათასიანი მწვერვალის თავზე გადაფრენასაც გულისხმობდა. სულ მათ წინ ედოთ ხიფათებით აღსავსე 150 კილომეტრი, რომლის დაძლევისას იქნებ იმ ბუმბერაზებსაც შენარცხებოდნენ, რაც გარდაუვალ სიკვდილს ნიშნავდა. მაშინ, 1985 წლის ოქტომბერში დაიქირავეს მებარგულები და შერპები და ნეპალის აღმოსავლეთით ქკპუნდეში ავიდნენ, მაგრამ ამინდი ხელსაყრელი არ იყო. ქარი ხან აქეთ უბერავდა, ხან იქით. მზეც ღრუბლებში იმალებოდა. გამოდარების მოლოდინში კარგახანს იცადეს. ამასობაში 1986 წელიც დადგა. როგორც იქნა გამოიდარა და სტაბილური ამინდიც დადგა. საჰაერო ნაოსნებმა სტარტი ღილაადრიან აიღეს. უკეთესი კინოგადაღებისთვის ორივე ბურთი ერთდროულად აიჭრა ცაში, ოღონდ ერთმანეთისგან საკმაოდ დაშორებულნი იყვნენ, რომ ურთიერთს არ შეჯახებოდნენ. მიუხედავად ამისა, 100 მეტრის სიმაღლეზე ჰორიზონტალური ქარის ნაკადში მოხვდნენ და ბურთები ერთმანეთს მაინც შეეჯახნენ. ისინი ერთხანს ასე ერთმანეთზე აკრულნი მისრიალებდნენ ცაში, რაც შეიძლება ერთი ბურთის გონდოლით მეორე ბურთის გახვრეტით დასრულებულიყო. არადა, ისეთი დაბალი სიმაღლიდან ვერც პარაშუტით გადმოხტებოდნენ, მაგრამ საჰაერო ნაოსნებმა მაინც მოახერხეს დაშორიშორება, როცა მათ ფრენის სიმაღლე შეცვალეს. ამ გულის ხეთქვას რომ მორჩნენ, მერე კი ამოისუნთქეს და ზღაპრული სანახაობით დიდი სიამოვნება მიიღეს, მაგრამ მერე ძალზე გაწბილდნენ, როცა აღმოაჩინეს, რომ „დედამიწის საზურავზე" ასასვლელად მათ საწვავი ან ეყოფოდათ ან არა, რადგან მარაგის 85 პროცენტი დაეხარჯათ. მეტი რაღა დარჩენოდათ — დაშვება დაიწყეს. ბოლოს, როცა იფიქრეს, ფათერაკები უკან დაგვრჩაო, ჟანგბადის ნაკლებობის გამო ფითილი ჩაუქრათ. ბურთებსაც ცხელი ჰაერის ახალი „ულუფა" რომ მოაკლდათ, სწრაფი ვარდნა დაიწყეს. მხოლოდ 5 000 მეტრის სიმაღლეზე „ამოისუნთქა" ფითილმა როცა ჰაერში ჟანგბადმა მოიმატა და ცეცხლიც მოეკიდა. მფრინავებმა მხოლოდ ამის მერე შეძლეს ფრენისა და სიმაღლის ბალანსირება. ამის მერე ორივე ბურთი მშვიდობიანად დაეშვა პანჩ პოკჰარის ველზე.

— ბედმა გაგვიღიმა, რომ ამინდმა გაგვიმართლა. ჩვენი ვარაუდი არ გამართლდა. იქ, მაღლა, 40 გრადუს ყინვას რომ ველოდით, ჩვენდა გასაკვირვად მხოლოდ რამდენიმეგრადუსიანი ყინვა აღმოჩნდა. აპარატურამაც არ გვიმტყუნა, — თქვა ქრის დიუპერსტმა.

ამ გადაფრენის მონაწილეთა აზრით, მათი სპორტული შედეგი საკმაოდ მაღალი იყო.

ახლა დავუბრუნდეთ ნიდერლანდელ ჰენკ ბრენკს, ამ ზამთარს და ძირსდაუშვებლად გარსაქვეყნო მოგზაურობის დაწყება რომ განიზრახა. საამისოდ ყველაფერი მზად იყო ნიდერლანდების აღმოსავლეთით მდებარე ქალაქ ნეიმეგენის მოედანზე. ბრენკი და კიდევ ერთი საჰაერო ნაოსანი ვილემ ჰაგემანგი ხელსაყრელი ამინდისა და დასავლეთის ქარის მოლოდინში იყვნენ, ის კი მთელი თვენახევრის განმავლობაში აღმოსავლეთიდან უბერავდა.

ისინი გაფრენას აპირებდნენ 72-მეტრიანი საჰაერო ბურთით, რომელსაც „იუნისეფ ფლაიერი უწოდეს". გონდოლა და ჰელიემით სავსე 20 მილიონ ლიტრიანი ბალონები (ბურთი ჰელიუმისა და ცხელი ჰაერის ნარევით უნდა გაევსოთ) კომპანია „ფოკკერის" საწარმოებში დაამზადეს.

მოგზაურთა სამწუხაროდ, სულ ბოლო მომენტში ნიდერლანდების საჰაერო ნაოსნობის სამმართველომ (გსვ) ფრენა აკრძალა, მიუხედავად იმისა, რომ „ბურთი" ბრიტანეთის სამოქალაქო ავიაციის სამმართველოში („ბურთი" სწორედ ბრიტანეთის კომპანია „კამერონ ბალუნზში" დამზადდა) გაიარა აპრობაცია. ფრენის აკრძალვის მიზეზი გახდა პატარა დეფექტი, რომელიც „ბურთის" ორმაგ გარსში აღმოაჩინეს, თუმცა, „კამერონ ბალუნზის" წარმომადგენელთა აზრით, საჰაერო ბურთს თავისუფლად შეეძლო თავისი ოდისეის დაწყება, თანაც კომპანია მზად იყო დეფექტი ორსამ დღეში აღმოეფხვრა, მაგრამ გ.ს.ვ. მაინც გაჯიუტდა.

ახლა ამ ფრენის ორგანიზატორმა, ფონდმა „გლობალედვენჩერსმა" („მსოფლიო თავგადასავლები") უნდა გადაწყვიტოს, მომავალ ზამთარს დაიწყება თუ არა ძირსდაუშვებელი სარეკორდო გარსაქვეყნო გადაფრენა. ეს პროექტი ჰენკ ბრინკის უკვე დაუჯდა 5,3 მილიონი დოლარი, რაც 80-მდე სპონსორმა გადაიხადა, ახალი გარსის დამზადება კი კიდევ 300-400 ათას დოლარს მოითხოვს.

ბრინკი ამ მოგზაურობისთვის 1991 წლიდან ემზადებოდა. თავდაპირველად გონდოლაში სამნი უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ მერე ერთ-ერთი „პირადი მოტივების" გამო გამოაკლდათ.

ავთანდილ გურასაშვილი



# აფრინდა, აფრინდა, ბურთი აფრინდა



ჟაკ როგი, რიჩარდ პალმერი, ნეილ ტოვშანი და სიმონ გლეგი ბათის ცაში აფრენის წინ




# ინტერვიუ

## მაიკ ტაისონთან (მისი გამარჯვების აღსანიშნად)

ისე მოხდა, რომ ვიზის პრობლემა დროულად ვერ მოვაგვარე და შორეულ ნევადაში გამგზავრება ვერ მოვახერხე. ვიზა რომც გამეხერხებიან, ბილეთზეც მაკლდებოდა ოცდაშვიდი დოლარი და ამიტომ ცხადი იყო, რომ ტაისონ-ბრუნოს შერკინება უჩემოდ უნდა ჩატარებულიყო და ლას-ვეგასშიც დიდად არავინ მომისაკლისებდა, მესვეტე ვერ ჩამოვიდა და რა ვქნათო.

ამიტომ არ შედგა ჩემი საუბარი მაიკ ტაისონთან, რომელიც დიახაც დამპირდა, თუკი ამ გაზაფხულზე ჩემპიონი გავხდები, 11 წუთს დაგითმობთ და შენი გაზეთის მკითხველები ჩემთან ექსკლუზიურ ლაქლაქით გაახარეო.

მაიკლი კი გახდა WBC-ის ჩემპიონი, მაგრამ ჩვენ რა?

თუმცა გულის გატეხვა არ ეგების. ახლავე შემოგთავაზებთ მოგონილ, ასე ვთქვათ, წარმოსახვით ინტერვიუს მაიკ ტაისონთან, რომელიც ბევრ რამეზე აგიხელთ თვალს.

— გამარჯობა, მაიკლ.
— სალამ ალეიქუმ, ძმობილო.
— მომილოცავს ჩემპიონობა.
— ალაჰი გვფარავდეს ყველა ჭეშმარიტ ჩემპიონს. რაღაც ტუალეტში მომინდა.
— რას იტყვი, მიაღწიე იმას, რაც გინდოდა?
— არ ვიცი. ეგ სადიყას უნდა ჰკითხო, იმან იცის ასეთი რამეები.
— სადიყა ვინ არის?
— ჩემი მასწავლებელი, აღმზრდელი და მამა. ბევრი წიგნები აქვს წაკითხული, ღმერთს ესაუბრება ხოლმე. აჰ, როგორ მომინდა...
— მართლა?
— აბა ტყუილად? ჩაიკეტება და ლაპარაკის ხმა გამოდის. მერე მე მიხსნის, რა და როგორ. ღმერთი აბარებს ჩემთან რაღაცეებს. იმიტომ არის, რომ ვერავინ მჯობს.
— და რომ დაგიჭირეს, მაშინ არაფერი დაუბარებია?
— მაშინ არ ვიცნობდი სადიყას.
— ბრუნოზე რას იტყვი, როგორ გაასილაქე?
— დღე ერთია და ათჯერ უნდა აიშალო ნერვები. აი, სახლი ვიყიდე და გარაჟი გამოადგა პატარა. ოთხი მანქანა ეტევა, მე კი ექვსი მყავს. ექვსი BMW. გარაჟის გადაკეთებაა საჭირო, გესმის? კომპრესორები მოიტანეს, მთელი ამბავი, არ ეტევა მანქანები. გარაჟი ისე დგას, რომ გაფართოება არ უხდება. რა უნდა ქნას კაცმა? თან ტუალეტში...
— გაყიდე ორი მანქანა, რაღ გინდა ექვსი?
— აჰ, ლამაზია ექვსი ერთად. რაც ლამაზია, ის უნდა იყოს.
— ეგ ვინ გითხრა?
— სადიყამ. იმას კიდევ ციდან ესმა. ტუალ...
— და მაო რომ გახატია ბეჭზე?
— მაო დაჩაგრული ადამიანების მოსარჩლეა და ამიტომაც დავიხატე. მშრომელი ხალხის შვილი ვარ მეც. მეც ვიჭექი, ძმაო და ოთხი წელი გავატარე.
— ჩვენთან გაუპატიურების მუხლით ჩამჯდარი ხალხი ციხეში არ უყვართ, პრობლემებს უქმნიან. შენ როგორ იჯექი?
— მაგრად. იკითხე; როგორც ვიჯექი და გეტყვიან. ახლა, ის, მინდა.
— სად ვიკითხო?
— ინდიანას ზონაში.
— მგონი, ბრუნოზე ვლაპარაკობდით.
— რა ბრუნო, რის ბრუნო, ბრუნოს საქმე წასულია. შენ იმაზე იფიქრე, როგორ უღალატეს მაოს.
— ეგ როგორ?
— როგორ და მაო რომ იყოს, ხომ გლეჯამდა ტაივანს?
— როგორც შენ გლიჯე ბრუნოს?
— აი, ამაშია საქმე. ძლივს არ მიხვდი? მე კიდევ ახლა რომ არ შევიდე ტუალეტში...
— კიდევ ერთხელ გილოცავ.
— ალაჰი იყოს შენთან. ახლა კი გამიშვი, უნდა წავიდე და ვიფიქრო.
— რის თაობაზე და სად?
— ადამიანებზე, რომ არ ესმით, ჩემი, მაგალითად. თორემ ბრუნო რა ხვითოა ყველამ იცის, საერთოდ ჩემს გარდა, ცოტაა ნორმალური ადამიანი. ტუალეტში ... ფიქრი.
— ეგ ვინ გითხრა?
— სადიყამ. გავიქეცი, თორემ...





# „ლანკელთათვის კრიკეტის მსოფლიო თასის მოგება იგივეა, რაც ქართველთათვის ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონობა“

— გვწერს ყაფლან ჯანდიერი



ცნობილმა ქველმოქმედმა, საქმოსანმა, ნოვატორმა და უცხო თამაშობათა ექსპერტმა ყაფლან ჯანდიერმა ყარაჩიდან ახლახანს დასრულებული კრიკეტის VI მსოფლიო თასის მისეული მიმოხილვაც მოგვაწოდა

ქართველ მკითხველთათვის „აქეთურ-იქითურებიდან“, აგრეთვე SKY NEWS-დან (რომელსაც ხანდახან თიშავს AYETY TV) და STAR TV PRIME SPORTS-დან (რომელიც კარგა ხანია გამოთიშული აქვს ბახტრიონის „მეშვიდე არხს“) კარგადაა ცნობილი მსოფლიო თასის შედეგები და ისიც, რომ გაიმარჯვა შრი-ლანკამ.

ჯერ მოგახსენებთ იმას, თუ რას ნიშნავს ლანკელთათვის ეს გამარჯვება. ერთი, რომ საქართველოსი არ იყოს, ამ ქვეყნის კიდურა კუთხეშიც სეპარატიზმი მძვინვარებს — რამდენიმე საუკუნის წინ ინდოეთიდან ჩათესლებულ თამილებს ინდოეთთან ჯაფნას ნახევარკუნძულის შეერთება თუ არა, დამოუკიდებელი ჯუჯა-ქვეყნის მოწყობა სურთ, რასაც ვერ ურიგდება ცენტრალური ხელისუფლება და თამილებს ჟუჟავს, ესენი კი, თავი ვეფხვებად რომ მოაქვთ, მთელს ქვეყანაში საშურისგებო ტერორისტულ აქტებს აწყობენ.

ერთი სიტყვით, ქვეყანა შიშს მოუცავს, რომ შებინდდება, გარეთ ცხვირს არავინ გამოჰყოფს, მაგრამ მსოფლიოს თასის მოგება იყო და მთელი დედაქალაქი — კოლომბო ქუჩებში გამოეფინა, მოეწყო თბილისური 13 მაისის ანალოგიური სცენები, ქვეყნის მორიგმა ქალმა პრეზიდენტმა — ჩანდრიკე კუმარატუნგემ კი პაკისტანს მადლიც კი მოახსენა, ლაჰორელი მაყურებელი (ფინალში ამ ქალაქში გაიმართა) რარიგ მხურვალედ გვიჭერდა მხარსო.

ეხლა ლანკელთა გამარჯვების საკრიკეტო ასპექტიც ვთქვათ. პირველ მსოფლიო თასზე, 1975 წელს, ვესტ-ინდოეთმა (კრიკეტის ბრაზილიამ, თუკი საფეხბურთო ანალოგიას მოვიშველიებთ) შრი-ლანკა სულ რაღაც 87 გარბენის სანაცვლოდ გაანბუნძულა. იმ დროს ლანკელებს ტესტებს არავინ ეთამაშებოდა და ყველაც ქედმაღლურად უყურებდა.

ტესტის მოთამაშის სტატუსი შრი-ლანკამ 1984 წელს ძმა-ბიჭობით მიიღო. გუნდს შარშანწინდლამდე სტუმრად ვერაფრით მოეგო ტესტ-სერია, მაგრამ ბოლო ორი წელია ისეთი ალმავლობა დაეწყო, მეტადრე თითოდღიან კრიკეტში, რომ ანგარიშგასაწევი ძალა შეიქნა.

ლანკელთა პროგრესი უმალ შენიშნა ზელანდიის კაპიტანყოფილმა, სერ რიჩარდ ჰედლიმ, რომელმაც შარშან შემოდგომაზე იწინასწარმეტყველა, შრი-ლანკა მარტში მსოფლიო თასს მოიგებსო. ბრძენი რაინდი მაშინ საჯაროდ არავის გაუქილიკებია, მედიამ მის პროგნოზს სენსაციური უწოდა. ბუქმეიქერთა აზრით ლანკელთა შანსები 1:66 იყო.

ლანკელებს სულ ბოლო დრომდე აბუჩადაც იგდებდნენ. ამ სამი თვის წინ გუნდი ავსტრალიაში რომ მართავდა ტურნეს და თან თითოდღიანი კრიკეტის „მსოფლიო სერიალში“ მონაწილეობდა, ავსტრალიურმა მედიამ და მსაჯებმაც ხელში შეკლეს აზიელი სტუმრები: ხან ბურთის გარსის ხელყოფა დააბრალეს, ხანაც ბურთის ტყორცნა (ორივე საქციელი კრიკეტში დიდი მკრეხელობაა). მერე იყო და, უკვე მსოფლიო თასის პროგრამით, აქაოდა თქვენთან საშიში ვითარებააო, კოლომბოში სათამაშოდ არ ჩავიდნენ ავსტრალია და ვესტ-ინდოეთი, რისთვისაც წაგება მიესაჯათ. ლანკელებმა მაინც დაამტკიცეს თავიანთი ძალა: ბობოლათაგან მსოფლიო თასზე ორჯერ დაამარცხეს ინდოეთი, თითოჯერ — ინგლისი და ავსტრალია (ფინალში). ავსტრალიასთან თამაშს მთელი საკრიკეტო სამყარო დიდი ამბით ელოდა, რაკი ეგონა, ლანკელები ამდენი წყენისთვის სამაგიეროს გადახდას ეცდებიანო, მაგრამ თამაში ერთობ კორექტულად ჩატარდა. აკი შრი-ლანკას კაპიტანი არჯუნო რანოტუნგე ამასვე პირდებოდა საზოგადოებას.

დასასრულ ორ საგულისხმო ამბავსაც მოგახსენებთ, ნახევარფინალში რომ მოხდა. შრი-ლანკამ ინდოეთი რომ დაამარცხა, პაკისტანში ხალხი დღესასწაულობდა, ჩვენი მძლეველიც გაგვდესო. აჩალბედა კენიასთან წამგებმა ვესტ-ინდოეთმა მერე ზედიზედ დაამარცხა ავსტრალია და სამხრეთი აფრიკა და ფინალში გასასვლელად ისევ ავსტრალიას გადაეყარა. კარიბელებმა ეს თამაში ძალისძალად წააგეს — ბოლო 10 წყებიდან (60 ბურთიდან) მოსაგებად სულ რაღაც 48 გარბენი ჰყოფნიდათ, თავად კი 8 ბჯე ჰქონდა მარაგში. სულ ამაოდ: მეტოქემ ვესტ-ინდოეთს ბოლო 8 ტაფელოსანი 42 გარბენის სანაცვლოდ ისე გაუგდო, რომ ბოლო სამი ბურთის მოწოდება აღარც დაანება.

# ბოქსები ატლანტაშიც ფეთქდება

ატლანტის ოლიმპიადის დაწყებამდე ოთხი თვეღა რჩება, ორგანიზატორებს კი საფიქრალი მრავლად გასჩენიათ, განსაკუთრებით — მშენებლობის ფრონტზე.

Atlanta 1996

85-ათასიანი ოლიმპიური სტადიონის დამპროექტებელი ოთხკაციანი შემოქმედებითი ჯგუფი უჩივის ორგკომიტეტს, აქაო და შეკვეთის დეტალები იმდენჯერ შეგვიცვალეს, რომ მაგათი ჭირვეულობის გამო ზედმეტად 47 600 საათი ვიმუშავეთ, რის საზღაურადაც 4 მილიონი დოლარი გვეკუთვნისო.

ორგკომიტეტი იქეთ უტევს დამპროექტებლებს, რაკიღა მშვენივრად უწყის, რომ მილიარდ 700-მილიონიანი ბიუჯეტი ბოლოსდაბოლოს ოდენ 13 მილიონ მოგებას მოუტანს და სასამართლოებში სირბილიც ბევრ ფულს დაახარჯვინებს.

თამაშების მასპინძლებს არგუმენტებიც ანგარიშგასაწევი აქვთ: ამ ერთი წლის წინ სტადიონის შენებისას წაიქცა დედაბოძი და ერთი მუშაც შეიწირა, გარეშე ექსპერტიზამ კი დაადგინა, რომ უბედური შემთხვევა დაპროექტების შეცდომის ბრალი ყოფილა.

კიდევ ორი ხიმინჯი წაიქცა ორშაბათს, ამჯერად 21 მილიონად ღირებულ საცურაო აუზზე, რომელიც ერთობ იშვიათი რამაა: მასში რეკორდებიც მრავლად მყარდება და მთელი მსოფლიოს არქიტექტორებიც ძალიან აქებენ ორიგინალური გადაწყვეტის გამო — აუზს სახურავსაც რომ დაადგამენ, გარედან ოკეანის ტალღას დაემსგავსება.

ამ ფოლადის ხიმინჯებს სწორედ რომ სახურავი ეჭირათ. როგორც მშენებლებს განუცხადებიათ, ნიავს წამოუბერია თუ არა, ბოძები გატოკებულა. საგულისხმოა, რომ ისინი იმავე ფირმას დაუსხია, რომელსაც ამ ერთი წლის წინ სტადიონზე შეემთხვა მარცხი.

როგორც ვარაუდობენ, ინციდენტი შენებას დიდად ვერ შეაფერხებს, მორალური ზარალი კი უფრო მძიმე ყოფილა. საქმე ისაა, რომ ატლანტის „ჯორჯია ტექს“ მთელს მსოფლიოში მოჰქონდა თავი მოწინავე კონსტრუქტორული იდეებით.

ვარლამ ბუთიკაშვილი

# სოციალისტები ყველას აბურთავებენ

ქართული ეროვნული პოლიტიკის შენებით დაღლილმა პარტიებმა საბურთაოდაც მოიცალეს და „ნახალოვკაში“ მინი-ფეხბურთის ტურნირიც ჩაატარეს. სულ ოთხმა პარტიამ ითამაშა: სოციალისტურმა, ეროვნულ-დემოკრატიულმა, მოქალაქეთა კავშირმა და ამათმა ახალგაზრდულმა კავშირმა. მათ დაემატნენ საგადასახადო ინსპექციისა და ჩუღურეთის რაიონის გამგეობის გუნდები. შეჯიბრის ორგანიზატორთა თქმით, ტურნირის მიზანი მინი-ფეხბურთის პოპულარიზაცია (!) და პარტიების დამეგობრება (!!) იყო, მაგრამ ფინალში ეროვნულ დემოკრატებსა და სოციალისტებს ლამის დაუქამიათ ერთმანეთი. საბოლოოდ სოციალისტებს უმარჯვიათ — 7:4. მანამდე სოციალიზმის იდეით შეპყრობილებმა ჯგუფში მოუგეს ედპ-ს 4:2, მერე „ახალგაზრდა მოქალაქეები“ 8:2 გააბითურეს, ნახევარფინალში კი — „უფროსი მოქალაქეები“ 7:2. ახლა საკითხავი ისღაა, ზემოთდასახული ორი მიზნიდან რომელი შესრულდა.

ვანო ჭიჭალუა

# ახვრები



იტალიელი სამთო მოთხილამურე ალბერტო ტომბა (2) მორიგ შარში გაეხვია. „ლა ბომბარდ“ ცნობილი ვარსკვლავი ფლორენციაში წვეულებაზე ბრძანდებოდა, ერთობ რომ გაალიზიანა ფოტოგრაფთა სანათი მოწყობილობების ლაპლაპმა. ჰოდა, პაპარაცო მარტინუცის მცემელი ალბერტო უეცრად განრისხდა და მავან ფოტორეპორტიორს კარატეს ილეთი ჩაუტარა — კისერში დაარტყა. საბრალო საავადმყოფოში წაიყვანეს, შინაც მალე გაუშვეს, მაგრამ ტომბას ჩივილს მაინც უპირებს.

ნბა-ს ბიჭი — დენის როდმანი (1) 6 თამაშით დასაჯეს და 20 ათასი დოლარით დააჯარიმეს. წინა უქმეებზე როდმანის „ჩიკაგო ბულსი“ ნიუ-ჯერზის გუნდს რომ ეთამაშებოდა, დენისმა თავი აძგერა მსაჯს, აქაოდა რა უფლებით მაძევებო. აჩვარი კალათბურთელი ამასაც არ დასჯერდა, ჯერ წყლის გამაგრილებელი დანადგარი წამოაყირავა, მერე კვართი შემოიძარცვა, ბოლოს კი უშვერი გინება მორთო. „ბულზის“ ლიდერმა მაიკლ ჯორდანმა ერთობ შეახურა გიჟმაჟი, აქაო და უგვანო ქცევით კლუბს სახელს უტეხსო.

კიდევ ერთი დამთხვეულის — „დენვერ ნაგითსის“ უკანახაზელი მაჰმუდ აბდულ რაუფის ბოლო სკანდალი მშვიდობიანად დასრულდა. მოთამაშეთა ასოციაციამ მაჰმუდი დაიცვა, რას ვერჩით, თუ კაცს აშშ-ის ჰიმნი გულზე ვერ ეხატება და პროტესტს იატაკზე ჯდომით გამოხატავსო, მაგრამ იმის გამო, რომ საზოგადოებას შეურაცხყოფდა კალათბურთელის საქციელი, კომპრომისი მაინც გამოინახა: მართლმორწმუნე მუსლიმი მაჰმუდ აბდულ რაუფი აშშ-ის ჰიმნის მოსმენის ნაცვლად ამიერიდან თავს ჩაუღრმავდება და ილოცებს.

ჩოგბურთელებს — შვედ მათს ვილანდერსა და ჩეხ კარელ ნოვაჩეკს შარშანდელ საფრანგეთის ღია პირველობაზე კოკაინის ხმარება დაბრალდათ. მართალია, ესენი ნარკომანობას უარობენ და ლონდონის სასამართლოში კიდეც უჩივიან საერთაშორისო ფედერაციას, აქაო და ნუ დაგვსჯის ივნისამდე, ვიდრე საქმე სრულიად გაირჩეოდესო, მაგრამ მართლმსაჯულება მაინც ფედერაციას ემხრობა.

## აქეთური, იქითური და ასე შემდგომ და მისთანები

**ჩოგბურთი** გუშინ კი-ბისკეინში (ფლორიდა, აშშ) დაიწყებოდა ტრადიციული „ლიპტონის“ შეჯიბრება, დიდი სლემის ტურნირების კვალად უპრესტიჟულესად რომ ითვლება და კვირანახევარს გრძელდება. ქალთა შეჯიბრში ისევ ვერ ითამაშებს მონიკა სელეში, ვისაც კვლავ სტკივა ის ბეჭი, წინა კვირაში ინდიან-ველზში (კალიფორნია) გამართული „ევერტის თასი“ რომ გამოატოვებინა.

**კრივი** მაიკ ტაისონის მიერ ნაცემი ფრენკ ბრუნო კრივისთვის თავის მინებებას ფიქრობს, ტაისონის გადია — მენეჯერთა მენეჯერი დონ კინგი კი გეგმებს აწყობს, თავისი შეგირდი როგორ შეაჯიბროს ჯერ ასოციაციის (ვბა) ჩემპიონ ბრუს სელდონს (ივლისში), მერე კი ფედერაციის (იბფ) რჩეულ ფრანსუა ბოთას (სამხრეთი აფრიკა). მართალია, ტაისონს, საბჭოს (ვბკ) ჩემპიონობა რომ მოუპოვებია, ლას-ვეგასის „ემ-ჯი-ემ გრენდ ჰოტელთანა“ აქვს დადებული კიდევ სამჩხუბიანი კონტრაქტი, მაგრამ თუ კინგს დაეჯერება, ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია ალტერნატივაც, ტაისონი მეტოქეს ვთქვათ და ლონდონში (!) რომ ეკრივოს.

**ველორბოლა** კვირას ლორან ჟალაბერმა (საფრანგეთი) ზედიზედ მეორედ მოიგო პარიზი — ნიცის რვადღიანი რბოლა (1 325 კილომეტრი). გამარჯვებულს 43 წამით ჩამორჩა ლანს არმსტრონგი (აშშ), მეტით — სპრინტისა და გამოდევნების ექს-სპეციალისტი, მესამე ადგილზე დარჩენილი ბრიტანელი ქრის ბორდმენი. ჟალაბერი შარშანწინ ამ რბოლისას საზარლად დაიმტვრა, მაგრამ მას უკან ისე მოძლიერდა, რომ მსოფლიო კლასიფიკაციის პირველი ნომერია, თუმც კი ესპანელი მიგელ ინდურაინი ვერაფრით დაუმარცხებია წლის უმთავრეს შეჯიბრში — საფრანგეთის ტურში. რაც შეეხება კიდევ ერთ დიდ მრბოლს, „ჯიროს“ (იტალიის ველოტურის) მერშანდელ გამარჯვებულს, შვეიცარიელ ტონი რომინგერს, მას ამ კვირანახევრის წინ ვარჯიშზე ნეკნები მოუტეხია და ხუნთქვაც თურმე ერთობ უჭირს.

**ლიგის რაგბი** მართალია, სიდნეის სასამართლომ 2000 წლამდე აკრძალა ავსტრალიის ლიგის (არლ) კონკურენტი სუპერ-ლიგის ამოქმედება, მაგრამ ამის მოთამაშეები ფარ-ხმალს მაინც არ ყრიან: რაკი ვერ შეურიგდნენ არლ-ს — რვა მეამბოხე კლუბის გარდა ვერ შეანყნარებინეს ორი ახალი კლუბიც და ვერც იმაზე დაიყაბულეს, სუპერ-ლიგიდან დაბრუნებულთაგან ცალკე ნაკრები რომ გაყიდეს საერთაშორისო სარბიელზე, — მოთამაშეებმა კონკურენტი, ე. წ. დამოუკიდებელი ლიგის შექმნა დააპირეს, მაგრამ დახეთ უბედურებას: სასამართლო არხებულ ათ კლუბს რაგინდარა შეჯიბრში უკრძალავს მონაწილეობას, ამიტომ შეამბოხეებს ისღა დარჩენიათ, გუნდების აღლვებითა და მოთამაშეების გადანაწილებით ახალთახალი კლუბები დააარსონ, ამას კი დიდი დრო მოუნდება.

**კალათბურთი** ამერიკელმა დომინიკ ვილკინსმა 26 ქულა ჩააგდო, ათენის „პანათინაიკოსმა“ 65:64 დაამარცხა ტრევიზოს (იტალია) „ბენეტონი“ და რუსეთის ცსკა-სა და ესპანეთის „რეალ მადრიდისა“ და „ბარსელონას“ კვალად გავიდა ევროპის საკლუბო ჩემპიონატის ფინალურ ოთხეულში, რომლის შეჯიბრიც 9-11 აპრილს პარიზში გაიმართება.

**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29